

მარტინ გერბერი

# ქოველ ბოვისის კაზ



მერაპ კვარაცხელია

# ზოგადი სოციოიდნიანი

თბილისი  
2024

დიზაინერი:

დალი ჯვარშეიძვილი

ISBN 978-9941



გამოცემა  
სამსახური

„მეგრელები იმ დროს ქართულად  
საუბრობრობენ, ოღონდ იმ ქართულით,  
თქვენ რომ დაგავიწყდათ“  
ერეკლე საღლიანი. პოეტი

დავესესხე ჩემს მიერ პატივცემულ პოეტს ერეკლე საღლიანს და ამ გამოთქმამ მომცა ბიძგი, შევსულიყავი ამ თემაში, როგორც არასპეციალისტი. ჩემს თავს მივეცი უფლება, ზოგადად გამეშუქებინა მეგრულენოვანი ტოპონიმის გავრცელების არეალი და აქედან გამომდინარე ჩვენ დრომდე შემორჩენილი „ნიშნულები“, რომელშიც შემოხაზავენ ლაზურ, მეგრულ, სვანურ, ჭანურ, ზანურ, ჯავახურ და მესხური ეთნოსების გავრცელების სავარაუდო საზღვრებს.

ეს საკითხი განიხილება უფრო მაღალ პლატფორმებზე, მაგრამ ყველა ამ მკვლევარს აქვს „აქილევსის ქუსლი“ - ამ ზემონახსენები ენების ზედაპირული ცოდნა. მით უმეტეს, რომ დღემდე შემორჩა ამ ეთნოსებისგან მხოლოდ ლაზები, მეგრელები და სვანები. მთავარია, რომ ჭანები, ზანები, ჯავახები, მესხები და აქვე მინდა მოვიხსენიო თუბალებიც

- ენებთან ერთად „გააქრო“ ისტორიამ. ლაზურმა საკმაო ტრანსფორმაცია განიცადა და აივსო თურქული და სხვა ენოვანი ბარბარიზმებით. დომინანტი ენების ზეგავლენას ვერ გადაურჩა მეგრულიც. ლიტერატურული ქართული ენის გავლენასაც ...„въ некоторых заимствованияхъ изъ грузинского“... აღნიშნავს ი. ყიფშიძე „გრამატიკა მეგრული (ივერული) ენის ქრესტომატიასთან და ლექსიკონთან“. ს. - პეტერბურგი. 1914 (ეს წყარო იქნება ნახსენები მრავალჯერ, როგორც მეგრული ენის კვლევის ერთ-ერთი სანიმუშო მაგალითი). რუსეთმაც „აჩუქა“ მეგრულ ენას უამრავი თავისი სიტყვა და თავადაც ვერ „შეიკავა თავი“ ქართულენოვანი სიტყვების „მორგებით“. მაგალითად, მეგრ. „სვირი“ - მილი, ლულა - СВИРЕЛЬ - სალამური და ქართული სახლი - САКЛЯ (დომ გორა -მთიელის სახლი) და ბევრი სხვა.

ყველა ისტორიულ „ბიძგებს“ მოაქვს უზარმაზარი ცვლილებები რაც აისახება ენების არსებობაზეც. ქართულმა განიცადა ასეთი ცვლილება „სულ ახლოხანს“ და რამდენიმე ასო-ბერა გაქრა ქართული ლიტერატურული ენიდან. უსარგებლო გახდა აბსოლუტურად მეგრულ ენას მორგებული, ქართული ალფავიტის რამდენიმე ასო. ძველ ქართულში იყო 38 ასო-ბერა, რომლისგან 5 ილია ჭავჭავაძის მიერ განხორციელებული რეფორმის შედეგად ამოღებულია და არ არის მოხმარებაში. მე ვთვლი, რომ ქართულმა

(ფართო გაგებით), რბილად რომ ვთქვათ, იზარალა. მოიგო კი იმ ეთნოსებმა, რომლების ზეგავლენის შედეგად ქართველი ერი „გალარიბდა“, ვინაიდან დაკარგა ენის ულერა-დობის რამდენიმე „ნოტი“! მეგრულმა და ლაზურმა დაკარგეს ქალალდზე ფიქსირების (დაწერის) ამ ენებზე ზუსტი ულერადობა. გასაგებია, რომ ისინი გამოიყენებდენ იმ ამოგდებულ ასოებს, მაგრამ ქართველებს უკვე დაავიწყდათ ამ ასოების გამოთქმა. აქ კვლავ უნდა მივაქციო ყურადღება იმას, თუ როგორი ცვლილება განიცადა ქართულმა ენამ, რომლის დამწერლობა შეიცვალა ვითომ უმნიშვნელოდ (სულ ხუთი ასო), მაგრამ დიდად დააშორა ერთმანეთს სამი ქართული ენა. გასაგებია, რომ ამას დასჭირდა 2500 წელი, მაგრამ დღეს გახადა აქტუალური ბატონ ერეკლე საღლიანის, ჩემს მიერ ეპიგრაფად გამოყენებული აზრი - „მეგრულები იმ დროს ქართულად საუბრობენ, ოლონდ იმ ქართულით, თქვენ რომ დაგავიწყდათ“.

ზოგიერთს, ალბათ, გაეცინება! გავა დრო, ხანი და მომავალ საუკუნეებში გაისმის კიდევ ერთი უაზრო კისკისი.... ალბათ, ასე - სიცილ-ლილინში გაქრა მსოფლიოს უამრავი, უფრო მძლავრი, დამწერლობიანი ენა! ამ ჩვენ მცირე აზიის ნაწილში დაიკარგა ის პროტო ენა, რომლის ალდგენით დაინტერესდა ინგლისელი ლინგვისტ-მეცნიერთა ჯგუფი. ამაში ეგრეთნოდებული „ფიშკა“ იმაშია, რომ ამ ენის „გა-

**ცოცხლებაში“ როგორც ფუძე, მონაწილეობს მეგრული და ლაზური ენები.**

ზოგადად ქართულენოვანი ტოპონიმის და გვარების კვლევის დიდი ღვაწლი მიუძღვის ცნობილ ლინგვისტს და ენის მკვლევარს არტემი ივანცოვს თავის პოპულარულ მრავალსერიულ ფილმ-კვლევაში „МЕЖ ДВУХ ИБЕРИИ“ - „ორ იძერიას შორის“. ვისაც აინტერესებს, შეუძლია მოიძიოს ინტერნეტში. საოცარია ის, თუ რამხელა სიყვარულით და პატივისცემით საქართველოსადმი არის შესრულებული ეს დიდი სამუშაო! მიმაჩნია, რომ ყველა ქართველმა და საქართველოში მცხოვრებმა არაქართველმა აუცილებლად ნახოს ეს სერიალი. ამის პოპულარიზაციას ხელი უნდა შეუწყოს ქართულმა მაღალრეიტინგულმა ტელეარხებმა!

ერთ-ერთ სერიაში განხილულია კაბადოკიაში დაახლოებით 2000 წლის წინ არსებული ტუბალების (ტუბალები, თუბალები, თუვალები) მეფე ვარპალავას (ვარფალავა) გამოსახულება, სავარაუდოდ, ჩ. წ. აღრიცხვამდე VIII საუკუნე. რომ ვთქვათ, სახელი მეგრულია ან მეგრულენოვანი - აღმოჩნდება უამრავი სკეპტიკოსი, რომლებიც მოითხოვნ ამის დამტკიცებას. მოდით, დავათვალიეროთ ბარელიეფი და შევნიშნავთ ორ მთავარ ნიშნულს ან და შემკრავ კვანძს. მეფე ვარფალავას მარჯვენა ხელში უკავია ბარაქიანი, მძიმემტევნიანი ვაზის ტოტი, მარცხენა ხელში კი ჯიშიანი

(სავარაუდოდ) ხორბლის კონა. რომ დავაკვირდეთ, მტევნები არის მჭიდროდ შეკრული პატარა მარცვლიანი ყურზნის ჯიშის. არსებობს ვარაუდი, რომ ყურზენი („ყ“ ურზენ - მეგრულად გამოთქმისთვის ასო „ყ“ უნდა მოვაბრუნოთ 180 გრადუსზე და მივიღებთ ასო ელიფს) იყო გაკულტურული, უძველეს ხანებში, კოლხეთში და ოქროსთან, სელის ქსოვილთან, თაფლთან და სხვა ნაწარმთან ერთად ექსპორტზე გაპქონდათ ლვინოც. ეს თემა განხილული იქნება მოგვიანებით უფრო ვრცლად. აღვადგინოთ ამოგდებული 36-ე ბერა და გამოვა მეგრული გამოთქმა.

36-ე ასო - ელიფსი ი. ყიფშიზე „მეგრული (ივერული) ენის გრამსტიკა“. სულ ქართულ ანბანში იყო 38 ასო-ბერა, მაგრამ ყიფშიძის გრამატიკაში ალფავიტის ასოების რაოდენობაა 37. გამოტოვებულია 37-ე ასო. სრული ალფავიტი არის მეგრულ-ქართულ ლექსიკონებში.

ელიფი („კ“ და „ყ“ შუა ბერა) გავს რუსულ ბერას „ც“ გამოთქმულს უფრო მკვეთრად. მეგრულში, აგრეთვე არსებობს ბერა „ც“, და ასო გავს უსასრულოების აღნიშნვას დაწერილს ვერტიკალურად და არის (ი. ყიფშიძის გრამატიკაში) 37-ე.

ნებისმიერი კულტურული ვაზის ჯიში რომ გადაიჭრას, იგი არ გახმება - ფესვებიდან ამოვა მისი ველური წინაპარი „მწარე“ - წვრილმარცვლიანი და მუქი წითელი ფერის

მტევნებით. თანაც ყველა ჯიშის (შავი, მწვანე, ვარდისფერი, თეთრი) „მწარეს“ ნაყოფი მუქი წითელი ფერისაა.

ვარაუდით, გაკულტურებული უძველესი ვაზის ჯიში არის შემორჩენილი სამეგრელოში და საერთოდ კოლხეთში და ეს არის „კაჭიჭი“. „კა“ მეგრულიდან არის მარცვალი, „ჭიჭე“ კი პატარაა. ესე იგი „კა-ჭიჭი“ (ჭიჭე) ლიტ. ქართულზე ითარგმნება როგორც წვრილი (პატარა)მარცვლიანი. დავიმახსოვროთ სატყვა „კა“ რომელიც ჩემი კვლევის მიხედვით გამოყენებულია საქართველოს რეგიონის დასახელებაში. ეს იქნება ლოგიკურად განხილული რეგიონების დასახელებების კონტექსტში.

საქართველოში არსებობს წვრილმარცვლიანი ჯიშები (კინწრულა, დირბულა), მაგრამ არც ერთს არა აქვს კაჭიჭის მსგავსი თვისებები. კაჭიჭის ღვინო არის სქელი (ბლანტი), მაგარი არომატის მქონე, მცირე რაოდენობის მირთმევა იწვევს სისხლძარღვების გადიდებას, წნევიანებისთვის არასასურველია და რაც მთავარია, ალერგიულია. ამიტომ ამ ყურძნის ღვინოს აყენებდნენ მცირე რაოდენობით და ძირითადად საეკლესიო მოხმხრებისთვის. აუცილებლად იდგმებოდა სახსენებელ სუფრაზე „ტაბაკზე“ („ტაბაკს“ ასევე მიცვალებულზე სახსოვრად განყობილ სუფრასაც ეძახიან), არაყთან და წყალთან ერთად და სანთელ-საკმეველის ნაკვერჩხლებზე დადების და მიცვალებულების ხსენებისას

გადააქცევდნენ პურზე (ჭირქას გინოუკუნათ ანუ დავხაროთ - „წაუქციოთ“). ამ კვამლის სურნელებს აშკარად ემატებოდა კაჭიჭის განსაკუთრებული არომატი. შავი ყურძენი კი აუცილებლად იწურებოდა კაჭიჭთან ერთად, რაც ამდიდრებდა ღვინის ბუკეტს. სიტყვა გამიგრძელდა და რა კითხვებიც არ უნდა გააჩინოს მეფე ვარფალავას წარმოშობამ მთავარია ის, რომ მას ხელში უჭირავს საქართველოს ორი მთავარი სიმბოლო ხორბალი და ვაზი.

## არგონავტები

არსებობს მტკიცებულებები, რომ კოლხეთი ფართოდ იყო წარმოდგენილი უძველეს, მცირე აზიის ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობებში. აქედან ექსპორტირებული ოქრო, თაფლი, ღვინო, ტყავი, სელის, კანაფის და მატყლის ქსოვილები აღნევს ეგვიპტეს. ისტორიულად ცნობილია, რომ ამ დროს ძალიან ფასობს ღვინო თავის შორ მანძილზე ტრანსპორტირების სიფაქიზის გამო. ღვინის სახმელეთო გზით გადატანის ხერხები ისტორიაში ცნობილი არ არის მაგრამ ჩემი ვარაუდით მიმდინარეობდა რამდენიმე ეტაპად. და ამისათვის საუკეთესო ჭურჭელი იყო ამფორები (ანალოგიური თიხის ჭურჭელი დღესაც არის ხმარე-

ბაში სამერელოში ოდნავ შეცვლილი - კოკა), მაგრამ მათი წონაც ზრდის ღვინის ფასს. გადატანა, ალბათ, ხდებოდა მარტო წლის ცივ სეზონებში. ცხელ დროს კი, ინახებოდა ამისთვის მოხერხებულ ადგილებში ან იმარხებოდა მიწა-ში, რისთვისაც იგივე ამფორები (კოკები) იყო საუკეთესო და მოხერხებული. ესეც აძვირებდა ღვინოს და იმის ქონის ფუფუნება ჰქონდა მარტო უმდიდრეს და უმძლავრეს მმართველებს. ცნობილია, რომ ეგვიპტის ფარაონ რამზეს II გააჩნდა ღვინის მარაგი 300 ლიტრის ოდენობით. ეს ხდებოდა ბევრად უფრო ადრე ვიდრე გაჩნდებოდა ბოსფორ-დარდანელის სრუტე და გაიხსნებოდა ხმელთაშუა და შავ ზღვათა შორის საზღვაო გზა. მოგვიანებით ამ გზით შემოდიან ბერძნები და ტოვებენ პირველ ცნობას კოლხეთზე, იქ არსებულ სახელმწიფოზე და მათ მეფე აიეტზე. და ამათი შემოსვლა ამ სივრცეში არ შეიძლება ყოფილიყო პირველი და ეს მხარე მათვის ცნობილია, მაგრამ მანამდე ეს გზა არის ხანგრძლივი და სახიფათო, ვინაიდან არის სახმელეთო და გადის მცირე აზიაში გამავალ სავაჭრო გზებით. იმიტომაც ბერძნები მიდიან მაგარ რისკზე და ცდილობენ მიაღწიონ კოლხეთს ნაკლებ სახიფათო და მათვის უფრო მოხერხებული გზით. პირველი აღწერილი წარმატებული მოგზაურობა კოლხეთში მოახერხეს ბერძნებმა ხომალდით „არგო“.

ამით იწყება საქართველოს უძველესი ისტორიული ქრონიკების ათვლა. „არგონავტები“ ჯერ უკან გაუსვლელი ბოსფორ-დარდანელის სრუტით, ჩქარ და მძლავრ დინების გაყოლებით შემოდიან შავ ზღვაში და აღწევენ კოლხეთს . მათ საბერძნეთში დაპრუნების გზას კი დასტირდა ერთი წელი - მდინარე დუნაის (ძველი დასახელება მდ. ისტრი) დინების სანინააღმდეგოდ. მდინარის ერთერთ შენაკადით (სავარაუდოდ მდინარე სავა. მ.კ.) ჩადიან დღევანდელ ქ. ლუბლიანამდე მერე „არგო“ თრევით გადააქვთ დაახლოებით 30 კმ. მანძილზე დღევანდელი მდინარე სოჩაში და შედიან ხმელთაშუა ზღვაში დღევანდელ ქ. ტრიესტთან და აგრძელებენ გზას საბერძნეთისკენ. ჩემი ვარაუდით „არგო“ მ. სოჩაში გადაათრიეს მ. სავადან რომელიც არის მ. დუნაის შენაკადი და უერთთება მას დღევანდელ ქ. ბელგრადში. მდინარე სოჩას და სავას საწყისები არიან დაახლოებით 12.5 კილომეტრში. (მსურველებს შეუძლიათ ეს ლოკაცია დაინახონ GOOLE პლანეტა-ზე. სლოვენია. მ. კ.)

იაზონის ეს სახითათო მგზავრობა, სავარაუდოდ, ხდება ძ. XII-X საუკუნეებში... და ის ბრწყინვალედაა დაგეგმილი. გათვალისწინებულია გართობა (მომლერალი ორფეოსი), მამოძრავებელი ძალა (მეომარი ნიჩბოსნები) დაკომპლექტებული იმ დროის ყველაზე ძლიერი ინტერნაციონ-

ალურ გმირებით (ნახევარ ღმერთებით) და რაც მთავარია, გზამკვლევებით, რომლებმაც იცოდნენ გზა კოლხიდისკენ და უკან დაბრუნების მარშრუტიც. ესენი არიან ძმები დიონსკურები, რომლებმაც გზის გარდა (სავარაუდოდ) იციან კოლხური ენა და ასრულებენ თარჯიმნების ფუნქციასაც. დასაბრუნებელი გზის და ამ გზაზე მცხოვრებლების ენას (შეიძლება ენებსაც) ფლობენ ძმები ბორეები ამ ადგილების - ბორეების ტომების მეფის ძეები. ექსპედიციის ყველა წევრი არის მრავალი ფუნქციის პროფესიონალური შემსრულებელი. იმ დროის სპეცრაზმი. დიოსკურებს მე დავუბრუნდები მოგვიანებით. ამ მოგზაურობაში ყველაზე საინტერესოა ის, რომ იაზონმა კოლხეთიდან გაიტაცა სახელმწიფო მნიშვნელობის პერსონა. ჯერ იყო და მეფის ასული აგრეთვე განთქმული კოლხური სელის დამუშავების და ქსოვის მთავარი ტექნოლოგი და ქვეყნის მთავარი ექიმი. და ორივე წოდება სახელმწიფო მნიშვნელობისაა. ამ საიდუმლოებების ცოდნის უფლება პქონდა მხოლოდ დედოფალს, მაგრამ რადგან ის გარდაცვლილია, მის ქალიშვილს მიენიჭა დედოფალის ორივე წოდება თავისი სპეციფიკური, საიდუმლო ცოდნებით. ცნობილია, მედეას სახელმა უბოძა კაცობრიობას ტერმინი - „მედიცინა“ და აგრეთვე, აქედან გამიმდინარე განთქმული, გვარი - მედიჩი. და მე მიმაჩნია, რომ მედეას სელის დამუშავების და

ქსოვის ცოდნა იყო იაზონის მთავარი მიზანი. „ოქროს საწ-  
მისიში“ შეიძლება იგულისხმებოდეს „სელის ნართი“ და  
არა „ვერძის ოქროს ტყავი“. მე მაქვს ნანახი სელის ნარ-  
თი გათეთრებამდე. ის ღია ყვითელი ფერისაა, და მზეზე  
ოდნავ გარყევით მართლაც ტოვებს „ოქროს საწმისის“  
შთაბეჭდილებას. ზემოთ ვახსენე და კიდევ ვიმეორებ -  
კოლხეთიდან ექსპორტზე გადიოდა ღვინო, თაფლი, ოქ-  
რო, ტყავი და რაც მთავარია ქსოვილები. ისიც ცნობილია,  
რომ ჩ. ნ. მე XVII საუკუნემდე სამეგრელოდან, ახლო აღ-  
მოსავლეთში, გაპქონდათ ტყავი და ნაქსოვი ნანარმი. მათ  
შორის ფასობდა სელის, კანაფის და მატყლის ქსოვილე-  
ბი. ამ დროსაც ხდება სამეგრელოს ბოლო ოქროს მონე-  
ტების მოქრაც. სელის ქსოვილი იყო საზაფხულო და რაც  
მნიშვნელოვანია დოლბენტები, რომლებსაც იყენებდნენ  
მიცვალებულების მუმიფიცირებისთვის, კანაფის და შა-  
ლის სქელ, თბილ ქსოვილს ხმარობდნენ საზამთრო ტა-  
ნისამოსისთვის. ვერ ვიხსენებ წყაროს, მაგრამ დაზუსტე-  
ბით მახსოვს, რომ რომელდაც კოლხეთის არქეოლოგიურ  
გათხრებში აღმოჩენილი იყო სელის 92 ნომრის ძაფი. ეს-  
ეთი წვრილი სელის ძაფის ნარმოება, იგივე წყაროს ცნო-  
ბით, დღეს შეუძლებელია. დღემდე შემორჩენილია კანაფ-  
თან დაკავშირებული ტოპონიმები: კიფნარი და ნაკიფუ.  
კიფუ მეგრულიდან არის კანაფი.

ნეილონის გაჩენამდე იყიდებოდა „ბატისტის“ (სელის) გამჭვირვალე, თეთრი პერანგები და იმაზე უკეთესი და კომფორტული, თანაც როგორც დღეს აღნიშნავენ, ეკოლ-ოგიურად სუფთა ტანისამოსი არ ყოფილა.

ინგლისში ქსოვის მექანიზირების განვითარებამ გამოიწვია ქსოვილზე ფასების ვარდნა. აგრეთვე კოლხეთში ბუნების ცვლილებამ გამოიწვია სელის ხარისხის ვარდნა და მისი მოყვანა და დამუშავების შემცირება. ქსოვილების ექსპორტი, რა თქმა უნდა, შეწყდა.

გავაგრძელოთ არგონავტების ეკსპედიციის განხილვა და გავიხსენით ამ მითის ტრაგიკული დამთავრება.

... იაზონმა მედეა მიატოვა თავის ორ შვილთან ერთად (სავარაუდოდ) იმიტომ, რომ ექსპედიციის მიზანი და მასთან დაკავშირებული „ეკონომიკური“ პროექტი ჩავარდა. სელმა საბერძნეთში არ გაიხარა ანუ „სელის ნართი“ გამოვიდა უვარგისი ქსოვისთვის. ამაში დარწმუნებას დასჭირდა სამი წელი. სამი წლის მოყვანილი სელი გამოვიდა უხარისხო და გამოუსადეგარი. ნაწარმა არ გაამართლა მოლოფინი. იაზონი დარწმუნდა, რომ მისი ბრწყინვალე, ძვირი და სახიფათო მოგზაურობა დასრულდა კრახით. მედეას ცოდნა იაზონს საბერძნეთში არ გამოადგა. ამ წყვილის უფროსი შვილი, მგონი, იყო სამი წლის ...

პირველი ბერძნული დასახლებები, შავი ზღვის სანაპიროებზე, ჩნდება ჩვენს წელთა აღრიცხვამდე მე VII-VI საუკუნეებში, მაგრამ ბოსფორის სრუტეში ორმხრივი „მიმოსვლის“ გახსნის თარიღის შესახებ ინფორმაცია ვერ იძებნება. ამ დროს ორი ზღვის დონეები უსწორდება ერთმანეთს და სრუტის დამშვიდებულ წყლებში ჩნდება ინტენსიული მოძრაობა. ამ დროიდან იწყება მოხეტიალე ერების (და აგრეთვე ინდოევროპელების. მ. კ.) ჩამოსახლება შავი ზღვის კომფორტულ ნაპირებზე, უცხოური ქალაქ-კოლონიების დაარსება და ამას აქვს ექსპანსიის ნიშნები. მთავარია ის, რომ ამ მოვლენის წინააღმდეგობის განევა ადგილობრივ მოსახლეობას არ შეუძლია, ვინაიდან ეს ქალაქები მრავალდება და შენდება კომპლექსურად და სწრაფად. დასახლებების მოსახლეობა ჩამოდის ცნობილი, მძლავრი საბერძნეთის და იტალიის ქალაქებიდან თავისი ინფრასტრუქტურით და სამხედრო ძალებით. ასე მოხდა შავი ზღვის სანაპიროების „მშვიდობიანი“ კოლონიზაცია თავისი უზარმაზარი სამხედრო ციხე-სიმაგრეებით...

ჩემი აზრით, ამ სრუტის გაჩენა (გაბზარვა) უნდა მივაწეროთ კუნძულ სანტორინზე ვულკანის ამოფქვრევას ძ. წ. მე XVI საუკუნეში და რამდენად ცნობილია, ამ მოვლენამ დედამინის მასშტაბის კატასტროფა გამოიწვია. ნადგურდება და ქრება ცივილიზაციები. ცნობილია ის ფაქტიც,

რომ ამან გამოიწვია ზოგადად კლიმატის ცვლილებაც. ატ-ლანტიდას ეძებენ დღემდე. კოლხეთის ცივილიზაცია ნელ-ნელა ქრება და ამას ხელს უწყობს უცხო ერების მიერ და-არსებული ზემოთ ხსენებული ქალაქები - კოლონიები. ბოს-ფორ-დარდანელის სრუტის ჩამოყალიბებით და შავი ზღვის დონის აწევით იფარება უძველესი კოლხური დასახლებები და კულტურული ფენა, რომელიც დღევანდელ ეპოქაში ჯერ მიუწვდომელია. ასსზე მეტი მეტრის სიღრმეებში ჩა-ძირული კოლხეთის გამოკვლევა, ჩვენ დროს არსებული წყალქვეშა აღჭურვილობით, შეუძლებელია. საქართველოს ზღვის ზოლი ცნობილია სიღრმეებით და წყალქვეშა კანი-ონებით. სოხუმში (მაიაკთან) და ბიჭვინთაში (Кახიონაკულა. კანიონი ზვიგენი). ერთ-ერთი ზოგადად მიღწევადი არის დიოსკურია, რომელიც „ნევს“ ზვის ფსკერზე რამდენიმე კილომეტრის მანძილზე სანაპიროდან - მიღწევად სიღრმეებში. მეორე ცნობილი უძველესი დასახლება არის „გუენოსი“ ოჩამჩირესთან, რომელიც დაფარულია რუსული, სა-ოკუპაციო სამხედრო პორტის ინფრასტრუქტურით. ზედ დაშენებულია სამხედრო საზღვაო ბაზა, რომელიც იყო და არის მიუწვდომელი არქეოლოგიური გათხრების და კვლევებისთვის. შემორჩენილია ის დასახლებები რომლებიც იყო ზღვის დონის აწევისთვისთვის მიუწვდომელი - ნოქა-ლაქევი, ვანი და ა. შ.

მე გააზრებულად შევედი ამ ისტორიულ ექსკურსში და განვიხილე ბერძნების ექსპანსია შავი ზღვის სანაპიროებზე და კონკრეტულად კოლხეთში. ვაკეთებ დაშვებას, რომ ძმები დიოსკურები შემთხვევით არ იყვნენ „არგოს“ ეკიპაჟის წევრები. ძმების, რომელთა სახელს ატარებდა უძველესი ქალაქი დიოსკურია (დიასკურია)... რომლის ცნობადობა არის დაკავშირებული ბერძენ კოლონისტებთან და აჩენს რამდენიმე ვერსიას:

1. შეიძლება ქალაქ დიოსკურიის დაარსების თარიღების გამოთვლებში არსებობს ცდომილება და ძმები კასტორი და პოლიდევკე იყვნენ დიასკურიის მოქალაქეები, თანაც გმირობის გარდა ცნობილები არიან ხარების პარვით. იმ დროს საქონლის მოპარვა ითვლებოდა ხელმწიფებისთვის, დიდგვაროვნებისთვის და გმირებისთვის ნორმალურად. სხვათა შორის ეს „მოღვაწეობა“ დღესაც ითვლება „ჩვეულებრივ“ მოვლენად და არა მხოლოდ კოლხეთის მხარეს... ცნობისთვის ილორის ეკლესიას ერთ დროს ეძახდნენ ილორის წმინდა გიორგი ხარიპარიას (თეთრი ფერის ხარის) სახელობის ეკლესიას და არა ამხედრებული ილორის წმ. გიორგი ცნობადი ხდება ხატზე წმინდანის ფეხებთან მცირე ზომის თეთრი ხარის გამოსახულების არსებობით. და თითქმის საქართველოს რუსეთის საზღვრებში აღმო-

ჩენამე აღდგომის წინა ღამეს ილორის ეზოს კარიბჭე იკეტებოდა დადიას თანდასწრებით და მისი ბეჭდით ილუქებოდა. აღდგომის დილით ბეჭდის მოხსნის და კარის გაღების შემდეგ ეკლესიის ეზოში აღმოაჩენდნენ თეთრ ხარს. ტრადიცია იცვლება მე XVII ს. და ხარები არის სხვადასხვა ფერის. ამას მიაწერენ იმას, რომ კოლხეთში არ ჩნდებოდა თეთრი ხარები.

2. დასაშვებია - რომ „არგოს“ დროში უკვე არსებობს დიოსკურია.
3. ხომ არ დარჩნენ ძმები კოლხეთში, ვინაიდან იაზონს უკვე არ სჭირდება მათი უნარები და დააარსეს დასახლება, რომელსაც მერე დაერქვა ძმებ დიოსკურების სახელი? მით უმეტეს ლეგენდის მიხედვით, ცოტა მოგვიანებით, დიასკურები - ძმები პოლიდევკი და კასტორი არ იძებნებოდნენ არც მკვდრებში და არც ცოცხლებში. არ გიჩნდებათ ეჭვი რომ ისინი იმყოფებოდნენ ჯადოსნურ კოლხეთში ...

## დიოსკურია

ყველა ეს ვარაუდი აქტუალურია... მოდით მეგრული ენის გამოყენებით განვიხილოთ ეს სახელი. და მერამდე-ნედ წარმოვადგენ ჩემს ვერსიებს და მკითხველს ვუტოვებ გაცნობის და შეფასების საშუალებას.

დავშალოთ დასახელება. დიოსკურია. გავაკეთოთ პირ-ველი დაშვება და ოდნავ შევცვალოთ სიტყვა, გავხადოთ დია სკურია. ეს ჯდება მეგრული ენის გამოყენების ფარ-გლებში. სამეგრელოში დიდად ცნობილია ეს სიტყვა - დია ჩეიმ, დია სქან, დია მუშ, დია სქუა, დია სქუეფ, დია სქუალ-ეფ და „დავაგვირგვინოთ“ - დია სკურეფ, დიო სქუეფ, დიო სქურეფ. ითარგმნება ეს სიტყვები - დედა ჩემი, დედა შენი, დედა მისი, დედა შვილო, დედი შვილები, დედა საწყისე-ბი. განსაკუთრებულია სიტყვა სკური (დია სკურეფ), რომე-ლიც არის დღევანდელი სამკურნალო კურორტის სახელი. მაგრამ მეგრულში ხშირად გამოიყენება მნიშვნელოვანი წყაროს აღსანიშნად და რეგიონში არსებობს უამრავი სკუ-რები და სკურჩა (სკურ ჩე - წყარო თეთრი. ცნობილია, რომ ყველა მინერალური წყარო ამოდის მეტნაკლებად გაზირე-ბული და გაზის ბურთულები მას აძლევს თეთრ შეფერი-ლობას, ამიტომაც წყაროს (მინერალურს) ემატება ფერი „ჩე“, - თეთრი, რომელიც ტრანსფორმირდა „ჩა“-დ. და ყველ-გან არის დაკავშირებული რომელიმე წყაროსთან. ამიტომ

ასოცირდება წყაროს საწყისთან. ოდნავ შეცვლით „დია სქუეფ“ და „დია სქურეფ“ ან „დიო სკურეფ“ (მეგრულში - სქუა და სკუა ერთი და იგივეა) - რჩება სიტყვის ულერადობა და რაც მთავარია მნიშვნელობა - დედის შვილები - ანუ ძმები (დები). ეს აღვნიშნე მე მაღლა... „ენის გამოყენების ფარგლებში“.

## სებასტონლისი

დია სქუეფ - დია სკურეფ - დია სკურია. დიოსკურია. მალე ამ ქალაქს დაერქმევა სებასტონპოლისი ანუ სევასტონლი და მოხვდება ეს იგივე ბერძნების მეშვეობით. SEBASTO ანუ სებასტო (ბერძნულიდან) ნიშნავს „პატივცემულს“ გამოდის, რომ ძველ ბერძნებს „შესძულდათ“ დასახელება და ქალაქს გადაარქვეს „სებასტონპოლისი“ ანუ „პატივცემული ქალაქი“. მაგრამ, რომ გავაკეთოთ მეცნიერებში ხშირად მიღებული „დაშვებების კასკადიდან“ მარტო ერთი და ვივარაულოთ, რომ იცოდნენ ან გაიგეს „დიოსკურიის“ არა ბერძნული წარმოშობის შესახებ, შეუცვალეს ბერძნულით და ქალაქი გახდა შემდგომში უკვე „პატივცემული ქალაქი“... ანუ სებასტო პოლისი. ამდენი ...წყაროების გადათვალი-

ერების შემდეგ მეც გამიჩნდა ცოტა წახუმრების ხასიათი. ასეთი რაღაცა დამემართა ახლახან ერთი 700 ფურცლიანი „მეცნიერული“ მაკულატურის გაცნობის შემდეგ. ან და რა გინდათ? ამ ქალაქის პირველი დასახელებიდან მეორემდე კაი ხანი კი გავიდა! ტრადიცია შეიცვალა. უქვე ხალხი ვერ ასწრებს დასახელების დამახსოვრებას... გადარქმევამდე. ცხუმ, ცხუმი, სოხუმ, სუხუმ-კალე, სოხუმი, აყვა („აფსუებს აყვა“), სუხუმ ... გავაგრძელოთ ეს თემა და გადავხედოთ არქანჯელო ლამბერტის : „კოლხეთის აღწერა , რომელსაც ამჟამად სამეგრელოს ეძახიან“ . წიგნის მეორე (2) გვერდის პირველი აბზაცი . ...., Риони также отделяет Мигрелию от Гурии и потом тихо впадает в море близ Севастополя, который в глубокой древности представлялся прекрасным городом, а ныне находится весь под водой . Границей Колхиды со стороны абхазцев или абасков служит река, называемая туземцами Кодором (Coddors), а, по моему мнению, он и есть древний Коракс.“ ... „რიონი აგრეთვე ყოფს სამეგრელოს გურიისგან და შემდეგ მშვიდად ჩაედინება ზღვაში სევასტოპოლთან ახლოს, რომელიც უძველეს დროს წარმოადგენდა უმშვენიერეს ქალაქს და ამჟამად არის, მთლიანად, წყლის ქვეშ. კოლხეთის საზღვრად აფხაზების ანუ აბასკების მხრიდან არის მდინარე, რომელსაც ტუზემელები ეძახიან კოდორს და ჩემი აზრით ის არის ძველი კორაკსი (ყორასი. მ. კ.).

დააკვირდით, რომ ქალაქი არის ნახსენები ქ. ფოთთან. ამას წერს ის, ვინც ამ ადგილებში ეწეოდა სამისიონერო მოღვაწეობას რომის პაპის სახელით. ამ მხარეში ცხოვ-რობდა 1635 წლიდან 1653 წლამდე და საკმაოდ ზუსტად აქვს აღწერილი ეს რეგიონი. თანაც დაზუსტებულია სამეგ-რელო-აფხაზეთის იმ დროინდელი საზღვარიც. აფსუებს იმ დროს უკვე ჰქონდათ დაკავებული აბუუა და სამეგრელო – აფხაზეთის საზღვარი გადაიწია კელასურიდან მდ. კო-დორზე.

აქვე მინდა მოგახსენოთ რომ პტოლომეოსის მე-2 საუკუნის ძ. წ. რუკაზე „TABVLA SARMATIAE VIRIVSQVE DACIAE CAVCASI SECUNDVM CL . PTOLOMAEVVM“ . (პტო-ლომეის რუკა). Sebastopolisi აღნიშნულია Phasis (რიონის) შესართავთან შავ ზღვაში (Pontu Evxinus). თანაც ამ რუკის მიხედვით სეპასტოპოლი არის განლაგებული ლაზეთ -სომხეთის საზღვარზე?! საზღვარი ჯერ მიჰყვება მდ. ფაზისს (რიონს) და გრძელდება მდ. Cyrus (მტკვარის) გაყოლებით. დიოსკურია კი აღნიშნულია მდ. Hippus-თან ანუ ცხენთან (ცხენწყართან) და მდ. Corax (ყორასი - კოდორი ) არის განლაგებული დიოსკურიის DIOSCURIAS ჩრდილოეთით, თანაც საკმაოდ მოშორებით ქალაქიდან. მარტო ეს არ არის ამ რუკის ხარვეზი! რომ დააკვირდეთ შეამჩნევთ. აქედან გამომდინარე ჩნდება კითხვა: რამდენად სანდოა იმ „ძვე-

ლების“ რუკები ან ცნობები იმ ადგილებზე სადაც ისენი ფიზიკურად არ ყოფილან და გაუგიათ ამ ერებზე „გაფუჭებული ტელეფონის“ პრინციპით ... მოსმენილის... მონაცემლიდან... ?! მეგრულში არის გამოთქმა „მიშ ჩიქახე სო მიშახე“ ანუ „ ვისი ჩიქახე (ჩიქავას ასული) სად შუაში ზის“ ანალოგია კახური მწარე განოთქმის „სად ერეკლე და სად .....“ მით უმეტეს ამ მასალებით, როგორც აბსოლუტური ჭეშმარიტობით, ხალხების (ერების) დასახლებების ადგილების შესახებ, დღესაც ოპერირებს ზოგიერთი „ჭეშმარიტი ისტორიკოსი“. ამ სიტუაციას კარგად ახასიათებს კიდევ ერთი რუსული გამოთქმა „Три П“ რომელიც ითარგმნება - „სამი პ“ (ПОЛ , ПОТОЛОК , ПАЛЕЦ ) - იატაკი, ჭერი, თითი! ეს გადაწერა და უწყვეტი „ძველების“ ციტირებას ხომ არ ჯობია მეცნიერებმა გამოიყენონ დღეს არსებული გამოკვლევის ახალი მეთოდიკა. ჩემთვის კი ჰაერში ჩამოეკიდა კითხვა... სად მდებარეობდა ქ. სებასტოპოლისი? HIPPUS-თან თუ PHASIS-თან! აქვე მინდა მოვიყვანო ახლახან გამოქვეყნებული სტატია:

Genetic Analysis of Mingrelians Revals Loong - Term Continuity of Populations in Western Georgia (Caucasus) მეგრელების გენეტიკური ანალიზმა გამოაჩინა პოპულაციის მემკვიდრეობის ხანგრძლივი უწყვეტობა დასავლეთ საქართველოში (კავკასია).

ეს შეეხება კვლევების თანამედროვე მეთოდების გამოყენების თემას. მოგვიანებით შესაძლებლობისდაგვარად ეს მასალა იქნება განხილული. მაგრამ მკითხველს აქვს შესაძლებლობა ვრცლად გაეცნოს ამ კვლევას ინტერნეტის მეშვეობით.

## ცხემ

ისტორია გრძელდება და ქალაქ დიოსკურია-სებასტოპოლს უჩნდება ახალი დასახელება ცხუმ და მხოლოდ ეკლესიის წიაღში ინახება მისი ზუსტი დასახელება - ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია. ცხუმ-ი სადაც ასო „ი“ (... въ некоторых заимствованиях изъ грузинского... И. Кипшидзе) (...ზოგიერთ ნასესხებებში ქართულიდან... о. ყიფშიძე) არის ქართული დანამატი ყველა დღევანდელ მეგრულ ტოპონიმიაში: ზუგდიდ-ი, სენაკ-ი, ხობ-ი, სოხუმ-ი, ფოთ-ი (ფუთ) და ასე შემდეგ.

ეს დასახელება გახდა განხილვადი და საცდელი იმისთვის, რომ აეხსნათ მისი წარმოშობა და ახსნა არა მეგრულ ენაზე ან და ყველაფერი არის მარტივი და დევს ზედაპირზე - თვალწინი.

მეგრულ ენაში არსებობს მრავალი ერთასოიანი (ერთბერიანი) სიტყვა და დასახელება, რომელიც ახასიათებს ამ ენას. მაგალითად: ერთასოიანებში არის ორი ხის დასახელებები. ეს არის „გ“, რაც არის „თელა“ და „ც“, რომელიც ნიშნავს „ცაცხვს“. ც-(ცაცხვი) სამეგრელოს ერთ-ერთი საკულტო ხეა და შედის ურფხელ (უთხოვარ, ურთხმელ), ბზაკალ (ბზა), ჭუბურ (წაბლი), ნეძ (ნიგოზის) და წიფურ (წიფელის) სიის მწვრივში. ცაცხვის მერქნის-გან ითლებოდა სამზარეულოს ყველა ჭურჭელი: სასმისები, სუფრის უბრალო და ღრმა თეფშები, კოვზები, ღუმუშ (ღომის) საზელი ჩოგან (მეორე დასახელებაა ხვარჩინ), არსებობდა სპეციალური გრძელ ტარიანი მაწვნის კოვზები, რომლებიც კეთდებოდა, აგრეთვე, ვაცის რქებისგანაც, ფიალები და ფქვილის, ყველის (ჩაფ, ატარ, დერგ), მწნილის შესანახები. მთავარი ადგილი ამ სიაში ეკავა „მეფეეს“ - ოქნახს - ყურძნის საწნახელს. ამ ხის მერქნის გამოყენება განპირობებულია იმით, რომ ის უძლებს დასველება-გაშრობის ციკლებს. არ იბზარება და არ სკდება, აგრეთვე არ გააჩნია შიდა პიგმენტი, ანუ არ ღებავს ნების-მიერ სითხეს და ქსოვილს. მისგან აკეთებენ „სასადილო“ და საყოფაცხოვრებო ავეჯს - ტაბაკს და კველებს. დაბალ მაგიდას - ტაბაკს იმერლები ეძახიან ტაბლას და კველა სამფეხა სკამია. სადილის შემდეგ ტაბაკ იფხიკებოდა, ირ-

ეცხებოდა და ფეხებით ერჭობოდა ფაცხის კედელში კვე-  
ლებთან ერთად.

აქვე მინდა მივაქციო ყურადღება სიტყვა „ფანჩა-  
ტურს“, რომელიც მეგრული სიტყვა ფაშატურიდანაა წარ-  
მოშობილი. ფაშატ მეგრულიდან არის მოზრდილი კვიცი  
და ფაშატურ არის ხის ფოთლიანი ტოტებით (ფეშერ-იდან)  
ან ჩალით გადახურული დროებითი სადგომი, რომელსაც  
აგებდნენ მიცვალებულის ბოლო განსვენების ადგილთან  
და იმის სიმბოლო იყო, რომ ის ამ ფაშატს (ცხენს) თან გა-  
იყოლებდა საიქიოში. უძველეს დროს ამ ფაშატს (ცხენს)  
კლავდენ და მიცვალებულის ახლოს ასაფლავებნენ. მაგრამ  
მოგვიანებით ფაშატი გახდა დაკრძალვის რიტუალის შე-  
მადგენელი და განუყოფელი ნაწილი, მიცვალებულის სქე-  
სის მიუხედავად. ფაშატურ-ფანჩატერი. ეს ისე... მომაგონ-  
და... ფანჩატურის უდერედობის და სიტყვის ფუძის გამო...  
ეს ტრადიცია გაქრა, მაგრამ იშვიათად მიცვალებულის სა-  
პატივცემლოდ, შესამჩნევ ადგილას აყენებენ მის მანქანას.  
მე, კიდევ, მოვესწარი ფაშატურის აგების ცერემონიას ვი-  
ნაიდან ამ „საქმიანობაში“ აუცილებლად მონაწილეობდნენ  
ბავშვები და მოზარდები.

დავუბრუნდდეთ ც - ცაცხვს. ამ ხეს რგავდნენ საპატიო  
ადგილებში: ეკლესიების ეზოებში, დასახლებების ხალ-  
ხმრავალ ადგილებში და, რა თქმა უნდა, სასაფლაოებზე

სადაც ძირითადაცაა დღემდე შემორჩენილი, სადაც ინამუსეს და არ დაჩეხეს საწნახელების (ოჭნახების) დასამზადებლად.

მარტო არ ირგვებოდა საცხოვრებელთან, ოდებთან იმიტომ „რომ ცაცხვზე, მეგრელების რწმენით, ანგელოზები არიან შემყუდროებულნი და მისი მეზობლობა სახლთან ითვლება მკრეხელობად“ - იუწყება არქანჯელო ლამპერტი თავის წიგნში. აგრეთვე ხეს საკრალურობას მატებს ის, რომ იყო თაფლის ხე და მეგრულ, მუხურის, გრძელხორთუმიან და უძველესი მესხურ (დღევანდელ ზემო აჭარის) ენდემურ ფუტკრებთან ერთად წარმოადგენდა კოლხეთის თაფლის და სხვა მეფუტკრეობის პროდუქტების წარმოების ფუძეს. აქაური თაფლის ექსპორტი ცნობილია უძველესი დროიდან. არ შემიძლია აქვე არ მოვიყვანო იმის ირიბი დასტური რომ ზემო აჭარაშიც იყო სოფლებში შემორჩენილი უძველესი, ხანდაზმული ცაცხვები.

ცნობილია, რომ ლავრენტი ბერიას საქართველოში მოღვაწეობის დროს პარტიულ თანამდევობაზე დასანიშნ პიროვნებასთან ჰქონდა პირადი, გაცნობითი შეხვედრები. კანდიდატს იბარებდნენ ბერიასთან, თბილისში. ეს პროცედურა აღწერილია ჩემს წიგნში „Три поколения“ (სამი თაობა) და არ განვმეორდები. ოთხმოციან წლებში ერთი ახლო კაცი იხსენებდა: „დანიშვნიდან სამი თვის შემდეგ“ (ესეც იყო

„რიტუელის“ გაგრძელების პროცედურა)… „გამომიძახეს ბერიასთან“ - ყვებოდა უკვე ხანშესული, დარბაისელი მამაკაცი. „ჩემი შესვლისას ლავრენტი, ადგილიდან წამოდგა მოემართა ჩემსკენ, ხელი ჩამომართვა და დასაჯდომი ადგილი მიმინიშნა. თვითონაც დაჯდა. ერთი კითხვა, რომელიც დამისვა დღესაც ჩაბეჭდილია ჩემს მესსიერებაში. ის ეხებოდა ხულოს რაიონს, სადაც მე ვიყავი რაიკომის პირველ მდივნად დანიშნული (მე დამავიწყდა სოფლის დასახელება, მაგრამ ამას არა აქვს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა). - „სოფელ... რა არის ყველაზე შესანიშნავი?“. სუნთვქა ჩამეკეტა. არ ვიცოდი პასუხი. იმ სოფელში არც ვიყავი ნამყოფი. სიჩუმე არ გაგრძელდა ბევრ ხანს. - „ჰო, თავისუფალი ხართ“ ... სანამ ჩამოვედი პირველ სართულზე, გასასვლელთან მიცდიდა ქალი, რომელმაც დაცვასთან მომაწოდა ჩემი თანამდებობიდან გათავისულების საბუთი. გარეთ რომ გამოვედი ცივი ოფლით გაულენთილმა ტანისამოსმა გამომაფხიზლა. იმის შემდეგ, რამდენიმე ხანი, დაპატიმრების შიშის ჩრდილი დამსდევდა. მაგრამ სახლში ჩასვლის მეორე დღესვე, მალულად, მეგობრის მანქანით გავემგზავრე იმ სოფლის სანახავად. სოფელში არც მოგვინია ჩასვლა, ვინაიდან შორიდან დავინახეთ სოფლის ცენტრში მდგარ უზარმაზარი ულამაზესი ხე. როგორც მერე გავარკვიე ეს იყო უძველესი ცაცხვი.“ ...ეს მონათხრობი გავიხსენე იმ-

ის დასტურად, რომ ცაცხვის კულტი, ალბათ, არსებობდა მთელ კოლხეთის სივრცეში.

ც ხუმ. ც - მეგრულიდან არის ცაცხვი და ხუმ ითარ-გმნება ქართულზე როგორც ხმელი (გამხმარი) და ამ ტი-პის, შედგენილი ტოპონიმები ტრადიციულია ლაზურ-ჭა-ნურ-ზანურ-მეგრულ სივრცეებში. მაგალითად: ხუმ უშქურ (სოფელი აფხაზეთში. აფსუებმა სახელი შეუცვალეს). ხუმ - ხმელი და უშქურ არის ვაშლი ანუ ხმელი ვაშლი.

ცხუმ არის ცაცხვი ხმელი ან და ხმელი ცაცხვი. რო-გორც ინებებთ ბატონებო! სხვათა შორის, სოხუმში ცაცხვების სიმრავლით იყო ცნობილი სადგურ ბარათაშ-ვილის მიდამოები და ჩემი ბავშვობის მეხსიერებაში ჩარჩა უზარმაზარი მოძერებული ცაცხვი სადგურის პლატფორ-მაზე ასასვლელ კიბეების მახლობლად. აგრეთვე იმ ფერ-დობზე რამდენიმე ოჯახს ყავდა ფუტკრები. ც ხუმ - რატომ უნდა განიხილებოდეს ეს დასახელება სხვა ენებზე, როდე-საც ნებისმიერი მეგრული ენის მცოდნე ერთი თვალის გა-დავლებით გადათარგმნის ამ ტოპონიმს. და ამას არ სჭირ-დება სხვა ენოვანი სიტყვების ყურით თრევა და „მოჭიმვა სასურველ შედეგზე“. სხვათა შორის ამ ქალაქს ერთ დროს „PORTO MEGRELO“ -საც ეძახდნენ. როდესლაც დღევან-დელ მდ. კელასურიდან ენგურამდე გაჭიმული მაღალი, ქვის კედელი იცავდა სამეგრელოს, ეგრისის ან რაც გინდათ

ის დაარქვით, მით უმეტეს ყველა ძველ რუკაზე სამეგრელო აღნიშნულია ერთი და იმავე ადგილზე და გაუგებარია აღნიშნულ ტერიტირიებზე სხვა ენოვანი ტოპონიმების არსებობა, გარდა მეგრულისა. რომ კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ ც-ს (ცაცხვის) თემას. გავამახვილებ ყურადღებას რომ აფსუჟებს აქვთ რცხილასთვის მინიჭებული წმინდა ხის წოდება - სახელმწიფო დონეზე. კოლხეთში და მით უმეტეს სამეგრელოში რცხილა - ცხიმურ - გრაბ ითვლება ყველაზე საუკეთესო შეშად, ვინაიდან სველიც კარგად იწვის. ტოპონიმიაში გამოყენება არაა ცნობილი. ხეების სიაში უკავია ადგილი არყის ხის (ბერიოზა) გვერდით. სწრაფად მზარდია და უძლებს ტოტების დიდი რაოდენობის ჭრას (მეგრულად - ცხონტუას). გაზაფხულზე მისი ნორჩი ფოთლიანი ტოტები გამოიყენება ციკნების გამოსაკვებად (ისე ცნობისთვის. არსებობს რამდენიმე მეგრული ენდემური ჯიშის თხა. ინფორმაცია იძებნება ინტერნეტში. ეს ადასტურებს იმას, რომ ამ სივრცეში მეგრელებმა უძველესი დროიდან მოაშინაურეს გარეული თხა. არაფერი რომ არ ვთქვათ კვარაცხელიას ჯიშის dროხაზე). მერქანი გამოიყენებადია მშენებლობაში. ალბათ, ვინმე იტყვის, რომ უარესი ხეა თხმელა და შეცდება. თხმელა გამოიყენებოდა უძველესი წყლის დრენაჟების მოსაწყობად ჭაობიან ადგილებში, რაც არის დადასტურებული არქეოლოგებოს მიერ. თხრიდნენ

ღრმა ორმოებს, ფსკერს ავსებდნენ თხმელის ტოტებით და მერე ზევით აყრიდნენ მიწას. ამგვარი სადრენაჟო სისტემები აღმოჩენილია არქეოლოგების მიერ და დასახელებულია კოლხურით . საუკუნეების განმავლობაში, აღმოჩენილ ტოტებს, ჰქონდა შენარჩუნებული სიმკვრივე და დრეკადობა. წყალში არ ლპება.

ვიმეორებ - ამ რეგიონის ყველა ტოპონიმი იძენს სე-მანტიკურ აზრს მხოლოდ მეგრულ ენაზე. და თუ არის გან-სხვავებული შემთხვევები, ისინი წარმოადგენენ ბოლო სა-უკუნეებში ამ ადგილებში არაადგილობრივი მოსახლეობის გამოჩენას ან ეთნოსური ცვლის შედეგს. ხდებოდა ახალი ენების გაჩენით და ამ ენების აბორიგენული ენის გამოთ-ქმის განსვავების გამო. დღეს ტოპონიმების შეცვლა ხდება მიზანმიმართულად რათა წაიშალოს აბორიგენული მოსახ-ლეობის ისტორიული კვალი ამ ტერიტორიებზე. გრძელ-დება საბჭოური პერიოდის პრაქტიკა. იმ დროს უძველესი ტოპონიმები უცებ გადაიქცა სხვადასხვა „გზებში - სოცი-ალიზმიდან კომუნიზმამდე“ ან და „ახალშენად, არაშენდათ, ოქტომბრად, პირველ მაისად, კიროვად, ორჯონივიძედ მი-კოიანად და ღმერთმა უწყის რათ... ეს გრძელდება დღესაც - უნიჭო თარგმნის ან დასახელებების უაზრო სიტყვებით შეცვლით. ...გადავხედოთ სოხუმის შემოგარენ დასახლებე-ბის დასახელებებს. აჩადარა, ბირცხა, კელასური, თხუბუნ,

ბალმარან, კაშტაკ, მაჭარა, გულირიფში (მეგრულად გურ-ლიფში), ბაბუშერა-ბაბ შარა), მთა შხაბარდ და ა. შ. აჩადარა. აჩადა, აფსუურად ვირია და გამოდის რომ დასახელება ქართულზე ითარგმნება როგორც სავირე. მაგრამ მეგრულის გამოყენებით მივიღებთ სულ სხვა და თანაც ლოგიკურ შედეგს. დასახლება ცნობილია უამრავი ჭადრებით, რომელსაც მეგრულად ჰქვია ჭანდარ და ამ ადგილსაც ეძახდნენ ოჭანდარეს (ჭადროვანს). შევადაროთ აჩადარა და ოჭანდარე (აჭანდარა, აჭადარა - აჩადარა). შედარებისთვის იგივე „გამარტივება“ ან „მორგება“ შეიმჩნევა ჩვენს ირგვლივ. მაგალითად: „ოკოჩე“ გახდა „ოკაცე“ (კოჩი მეგრულიდან კაცია), „ნაოხვამუ“, (ნაეკლესიარი) - გახდა „ნამოხვანი“, „ხვამლე“ - ხვამილ რე (დალოცვილია) და ასე შემდეგ. ეს ორი ტიპის

ბირცხა, მეგრულიდან არის ფრჩხილი ანუ პატარას სიმბოლი (ბირცხაშ ხელა - ფრჩხილის ხელა). სოხუმიდან კარგად ჩანს ორი მთა და ერთის დასახელებაა შხაბარდ ... ეს დასახელება არ მოგაფონებთ მეგრული მთის კურორტის დასახელება ლეპარდეს (ლე ბარდე. ბარდ: ეკალით - კალიათ - კურკანტელით - სასპარელით გადახლართული ხეები და ბუჩქნარი) ბარდიანი ადგილი და შხა ბარდ არის - შეა ბარდ ანუ შუა ბარდი. ამ მთის ირგვლივ არის გაუსვლელი, გარეული წყის (რწყავის) გადახლართული, გაუსვლელი

ტყე. ვარ იქ სანადიროდ ნამყოფი, დეკემბრის ბოლო დღებში, და დავდიოდით მჭიდროდ გადახლართულ ბუჩქნარის გადაფარებულ მოყინული თოვლის „საბანზე“. ადგილობრივი მონადირეების რჩევით ასეთი გადაადგილება უფრო უსაფრთხოა ვინაიდან, ბუჩქებში შესაძლებელია შეხვედრა მოხეტიალე დათვთან. ისინი იკვებებიან რწყავის ტკბილი ნაყოფებით. რწყავის მომწიფების სეზონზე ნაყოფების შემგროვებელი ქალები დადიან დიდი ჯგუფებით, ხმამაღლი ლაპარაკით და გადაძებილებით, სიმღერებით და ხმაურით. ალბათ, გასაგებია რატომ.

კელასური, დასახელება ასოცირდება ამ სანაპიროზე თურქების გამოჩენით და მდინარის ზღვასთან შესართავთან ციხეში მათი სამხედრო რაზმის განლაგებით. კალე სუ თურქულიდან არის ციხე წყალი ანუ ციხესიმაგრე წყალთან.

თხუბუნ რუსულში ტხუბუნ არის ამაღლებული ადგილი, რომელზეც იყო განლაგებული სოხუმის რადიოსადგური. ეს ადგილი დღეს ცნობილია მანდარინის და ორთოხლის ბალებით... მაგრამ ჯერ ორმოცდაათიან წლებში ეს „გორა“ იყო დაფარული გაუსვლელი თხმელის ტყით. გადიოდა წლები და ნელ-ნელა თხუმონმა (თხმელოვანამ) იცვალა დასახელება, სახე და აკაშკაშდა მწიფე ციტრუსების და ხურმის ფერებით. რუსულ ტრანსკრიფიაში და-

ერქვა Txybury (თხუბუნ) და შეადარეთ თხუმუნთან (თხუ-  
მონ ანუ - თხმელას ტყე). შეიძლება ეს მიაწერო უბრალო  
დამთხვევას, მაგრამ მთლიანად ამ ტერიტორიაზე ამდენი  
„დამთხვევა“ გამორიცხულია და ამას ადასტურებს ამ სიის  
გაგრძელება.

ბალმარან. ბალ მარანს მგონი არც სჭირდება რამე გან-  
მარტება და თარგმნა.

კაშტაკ. ცოტათი დამაბნეველი და უცხო გამოთქმის  
სიტყვა და ზუსტად ეს დასახელება ამ დრომდე საკმაოდ  
გავრცელებულია რუსეთში, ტბა ბაიკალთან, ქ. ტომსკის  
ოლქში, მონღოლეთში, ჩინეთში, თურქესტანის სტეპებში,  
სომხეთში და კავკასიაში. როგორ გაჩნდა ეს დასახელება  
სოხუმში ვერ გავარკვიე მაგრამ ალბათ ისევე როგორც  
პრიმორსკი გუდაუთასთან, ჩორნაია რეჩკა, ბელაია რეჩკა,  
პრიმორსკი გალის რაიონში და სხვა დასახელებები, რომ-  
ლის ლოგიკურ განმარტებას და ახსნას მე ვცდილობ.

ითვლება, რომ ეს სიტყვა წარმოშობილია თურქული  
კაშ-კიშ-იდან. გაიხსენეთ კიშლაკ, რაც ნიშნავს დასახლე-  
ბას, ზამთრის სადგომს ან და იურტებისგან შემდგარი და-  
სახლება. ტაკ-ტაგ არის მთა, ამაღლებული ადგილი (რუსუ-  
ლი ბარბარიზმი გო'რა-გო'რაკი). კაშ ტაკ - არის დასახლება  
ამაღლებულ ადგილზე, ენერზე (მეგრ. ენნერ), დასახლება  
გო'რაკზე. კაშტაკები არის იქ სადაც ცხოვრობენ თურქულ

ენოვანი ხალხები - თათრები, ტუველები, მონღოლები და სხვა. შეიძლება სახელი ამ უბანს დაარქევეს თურქებმა ან რუსებმა - მით უმეტეს დასახლება განლაგებულია ამაღლებულ ადგილას ...

... მაგრამ რომ გადავხედოთ აქაურ ზღვის სანაპიროს და გავიხსენოთ, რომ ამ მიდამოებში ცხოვრობდნენ ლაზები და მათი გამუსულმანების შემდეგ მოყვნენ იმ რუსული რეპრესიების – მუჭაჯირობის ტალღას და არა მარტო ამ ადგილიდან. ცნობილია მათი დასახლებები ქ. ოჩამჩირეში და რაიონის სოფელებშიც. არადუში, კოჩარაში და ჯგერდაში ლაზები იყო გასახლებული. ისინი დღესაც ცხოვრობენ აქ, კოჩარის გარდა - ჯგერდაში, არადუში, ქალაქში, მაგრამ გვარების მეტი ლაზური არაფერი არ შერჩათ - ჩანერილები არიან აფსუებად და გააფსუებულები არიან. არადუში რამდენიმე ოჯახს სამოცდაათიანებში ლაზური ენა შემორჩენილი ჰქონდა მიუხედავად იმისა, რომ პასპორტებით იყვნენ აფსუები.

ახლახან გავეცანი ჩემთვის ახალ ფაქტებს ლაზებთან დაკავშირებით, რომელსაც წარმოგიდგენთ ქვემოთ. თარგმნილია ფრანგულიდან: ...ბერძნების და რომაელების სიმძლავრე თანდათანობით სუსტდებოდა და ისტორიაში შემოვიდა ქართული რასის ერთი ტოტი, ლაზები. „დასახელება ლაზები ჩნდება ჩ.ნ. I საუკენის დასასრულს, როდე-

საც დიოკლეტიანემ მხარი დაუჭირა ამ ხალხს ჩრდილოელი ხალხის შემოსევის დროს. კოლხეთი ქრება და მისი ტერი-ტორია იღებს ახალ დასახელებას ლაზისტანს. მიუხედავად ხშირი ურთიერთობისა, მხარდაჭერილ ქვეყანასთან, მწე-რალ-კლასიკოსებიც განსხვავებულად გამოთქვამენ მის გეოგრაფიულ მდებარეობას. საერთოდ, განალაგებენ მას ფაზისის ორივე ნაპირზე სადაც მდებარეობდა აღნიშნული კოლხეთიც“. მ. ბროსსეს არგამოქვეყნებული ხელნაწერის ასლიდან რომელიც იყო სანკტ-პეტერბურგის საიმპერატო-რო ბიბლიოთეკის კუთვნილებაში და გადაცემულია მ. ბ. გოგობერიძის. გვ. 10.

„ბოლოს და ბოლოს 562 წელს იუსტინიანეს და ჰოს-როვს შორის იყო დადებული ზავი. ლაზეთი შერჩა პირვე-ლებს, და სპარსელები გავიდნენ ლაზისტანიდან, რომელ-საც მერე მართავდნენ ბერძნული გუბერნატორები. იუსტი-ნიანემ მონათლა ლაზები და ააშენა ბიჭვინთაში ბრწყინვა-ლე ეკლესია, რომელიც არსებობს დღესაც“. გვ. 12.

La MINGRELIË (ANCIENNE COLCHIDE) Par . J .  
MOURIER . ODESSA . LIBRAIRIE ROUSSEAU . Imprimerie  
Slave rues Langeron et Gavanata . № 231883 .

МЕГРЕЛИЯ (АНТИЧНАЯ КОЛХИДА) Автор Ж . МУРЬЕ.  
ОДЕССА КНИЖНЫЙ МАГАЗИН РУССО. Славянская  
типография на улицах Ланжерона и Гаваната . №231883

სამეგრელო (ანტიკური კოლხეთი) ავტორი. ჯ. მურიე. ოდესა. რუსსოს წიგნების მაღაზია. სლავური სტამბა ლან-ჟერონ და გავანატას ქუჩებზე № 231883. წიგნი გამოშვე-ბულია მცირე რაოდენობით (ორასამდე ცალი) ფრანგულ ენაზე.

ლაზების შესახებ მოკლე და საინტერესო ინფორმაცი-ის გაცნობით გავაგრძელოთ ჩვენი ძირითადი თემის გან-ხილვა (დამაინტერესა სიტყვა „ლაზი“- ს თარგმანმა, ბერ-ძნულიდან გამოვიდა - „ზარმაცი“ იგივეა, რაც ინგლისურში „Lazy“. მ. კ.).

ზღვის სანაპიროებზე უძველესი დროიდან მიმდინარე-ობდა ქაფშის ჭერა. თევზი ქაფშია (ხამსა, ანჩოუსი) ირენ-ებოდა დიდი მოსასმელი ბადეებით და რადგან სანაპირო არის წვრილლორლიანი, ადვილი იყო ბადეების ამოღება ნაპირზე, თანაც მცირე დანაკარგით. ახლო იყო გზები და ნავსადგომი, რაც ხელს უწყობდა ნადავლის გაზიდვას გა-საყიდად და საერთოდ ამ საქმიანობას. ოჩამჩირეში, სანამ ააგებდნენ ტალღმჭრელებს და სანაპიროს ჩასვამდნენ ბე-ტონში, ადგილობრივები თევზაობდნენ მოსასმელი ბადეებით და, რა თემა უნდა, ახლო მცხოვრები ბავშვები ვიყავით ამ საქმიანობის დაუპატიჟებელი მონაწილეები. პროცესის დამთავრებისას მეთევზები გვაძლევდნენ რამდენიმე მუ-ჭა თევზს და მწვანე „მაიკებში“ (სხვა ფერის მაიკები არ არ-

სებობდა), პერანგებში ან ქუდებში ჩაყრილი საჩუქარით გა-  
ხარებულები ვიფანტებოდით ჩვენ-ჩვენ სახლებში.

(ქაფშიას ადგილი) - ქაფშაკი, ქაფშიაკი. კაშტაკი თავის  
უღერადობით გავს ამ ლაზურ სიტყვას. ისინი აყარეს თა-  
ვიანთი ადგილებიდან და დასახელებამაც დაკარგა თავი-  
სი ფუნქცია თანაც ახალი დამპყრობლისთვის გაუგებარია  
და ხდება ის რაც მოხდა მდ. ულუ ს რომელიც გადაარქვეს  
მონღოლურ სიტყვა ულუს-ად.

ამ მოსასმელი ბადეების ამოღების დროს წვრილი  
თევზების მოძრაობ აქაფებდა წყალს, და ამ „ქაფმა აჩუ-  
ქა“ ამ თევზს დასახელება ქაფშია (ქაფიშ-ია, ქაფის-ია).  
რომ დააკვირდეთ თევზების მეგრულ დასახელებებს: ზინ-  
თხ - (ზენთხ) იძულებული ვარ გამოვიყენო რუსული ასო  
„ყ“ - ქართული გაუქმებულია და ძველი შრიფტის გამოყე-  
ნება შეუძლებელია) ნიშნავს ულამაზეს, მზეთუნახავს და  
აგრეთვე თევზის სახელია - ზუთხი - ზენთხ, ბოლოჭითა  
- (ჭითა - წითელი) წითელფარფლა, სარღალა (მცოცავი  
გველივით) - სარგანი, წვერენტია (მოწვრილო თავიანი და  
არა წვერა ქართულში აქვს მეორე განმარტება - თმა სახე-  
ზე მეგრულად ამას აქვს ორი დასახელება ბჟაკე და ფრი-  
მულ) - წვერი, ორაგულ - დამჯახებელი, ქეჩო - ქორჭილა  
და ასე შემდეგ.

მაჭარა. მდინარე მაჭარა არასდროს ხასიათდებოდა

უზარმაზარი წყალდიდობით ან მის ხანგრძლივობით. რამ-დენიმე საათში მშვიდდება და მერე ბევრ ხანს ინარჩუნებს მაჭარის ფერს, რითაც ადგილობრივ, სასროლი ბადის მოყვარულებს უხარებს გულს. აქ ბინადრობდა ქაშაპი, ტოფუ, ქორჭილა, ციმორი, წვერა, კალმახი, და ზამთრის თვეებში საქვილითოთ შემოდიოდა ორაგული. აგრეთვე ზღვის სანაპიროს ახლო, მდორე წყლების სარკეს ხაზავდა საკმაოდ მოზრდილი კეფალის ჯოგები. ისინი აქ შემოდიოდა მდინარის ადიდებისას, რჩებოდა მეორე ადიდებამდე, სანამ მორიგ ჯერზე გაიხსნებოდა ზღვასთან შემაერთებელი სრუტე, და უთავისუფლებდა ადგილს თევზების სხვა ნაკადს. ბავშვები კი ბანაობისას ერთობოდნენ ქვების ქვეშ მჯდარი ღორჯოების ჭერით.

გულირიფში მეგრულედ გამოითქმება გურ ლიფში და შედგება ორი სიტყვისგან და ითარგმნება გურ - გული და ლიფშ - ნემსი ანუ გული ნემსი. ადგილი განთქმულია ბუნებრივი გულის სამკურნალო თვისებებით და არაა გასაკვირი რომ იქ აშენდა ცნობილი სანატორიუმი.

**ბაბუშარა მეგრულად ბაბშარა ანუ ბაბუს გზა (შეადარეთ ბალ - დად. დად არის ბებიის დედა).**

როგორც ცნობილია მეგრულად შესაძლებელი არის ღუამრავი მოქმედების, სიტუაციის, გრძნობების ან სხვა ემოციების აღნერა ძალიან მაღალი დონის მიახლოებით.

მოვიყვან მარტო ერთ მაგალითს: გადავხტი - გეგნობსხაფ შეიძლება გამოვთქვათ რამდენიმე ათეული „გადახტომის“ დაზუსტებული სინონიმებით, იმის და გვარად, როგორ იყო შესრულებული ეს ქმედება, ძალობრივი ან სხვა ემოციური ნიუანსებით. არც ერთი მათგანი არ ითარგმნება ჩემთვის ცნობილ ენებზე. მაგალითად: გეგნობჟღვენგ ან გეგნობტურინ სადაც უღვენგუა - აც და ტურინ - უა იხმარება მეგრულში ხტომის აღსანიშნავად. ყველა ასეთ სიტვას აქ ვერ მოვიყვან მაგრამ აღვნიშნავ, რომ ენა იმდენად მდიდარია, ანალოგიურად მრავალ სხვა გამოთქმების დაწვრილებულ დაზუსტების საშუალებას იძლევა. ნუ დამძრახავთ, მაგრამ გამოვთქვამ ჩემს აზრს. ენის „მეხსიერებაში“ ხომ არ შემორჩა ის უძველესი სიტყვები რომელიც „გაპყვა“ ჩვენს განშტოებებს ევროპის სხვადასხვა კუთხეებში. დააკვირდით სიტყვა „ტურინ“-ს (ეტრუსკების მიერ დაარსებული ქალაქი იტალიაში) ან და „ქორნ უელ“-ს (ქორნ, ქობალ - ხორბალ - ერთი და იგივეა უელ კი ველია. ბარსელონასთან ახლო მდებარე დასახლების დასახელებაა „მარგალეფ“ (მარგალეფ - მეგრელების თვითდასახელება), ებრო (ერბო - კარაქი მეგრულად. მდ. ებრო ერბოს ფერის შლამიანი წყალია) და უამრავ სხვას გვარების აბსოლუტურ დამთხვევას რომ არ მივაქციოთ ყურადღება. ან და ორ ესპანურ სიტყვას „კორიდა“-ს და „ოლე“-ს. კურო არის დაუკოდავი ხარი და

ოლე პირველი ასო „ო“-ს რომ შეცვლეთ ასო „ყ“ - მეგრული ბგერით (ადრე ნახსენები შებრუნებული „ყ“-თ) ასო „ელიფ-ით“ მივიღებთ ერთ და იგივე დასახელებებს ქართულზე და მეგრულზეც. ეს ესპანური ძახილი გუგუნებს კორიდა-ზე (კუროდაზე) რომელიმე კორიდის უშუალო მონაწილეს-თვის ან... შეიძლება ორივესთვის. მეგრულ სოფლებში ყო-ველ წელიწადს სხვადასხვა ადგილას ეწყობოდა კუროების ბრძოლები, საჯიშე ცხოველების ასარჩევად. შეჯიბრზე გროვდებოდა უამრავი ხალხი და ჩამოყავდათ „მებრძოლე-ბი“. მოგებულების რაღაც რაოდენობას ტოვებდნენ, და-ნარჩენი იკოდებოდა, რამდენიმე ამშვენებდა სახალხო ქე-იფს. ეს გრძელდებოდა რამდენიმე დღე. ეს „პროცედურა“ აჯანსაღებდა საქონელის ჯიშს. ამგვარად იყო შენარჩუნე-ბული კვარაცხელიას ჯიშის ძროხა. ამასთან იყენებდნენ არა სტანდარტული ეგზემპლარების გამოხშირვას.

დავუბრუნდეთ სოხუმის გარემოებს. სოფელ ვარჩეს-თან (არა თეთრი: ვარე - არ არის, ჩე - თეთრი ) ვინაიდან ამ სოფელთან მდინარე კოდორი მშვიდდება, კარგავს თავისი თეთრი ფერის, ფართო პლიაუების სივრცეებს. ზღვასთან ახლოს ნაპირები იფარება ეკალ-ბარდ ნარევი ბუჩქეებით და ხეების სიმრავლით, რომელთა გამორეცხილი ფესვები ზღაპრული წყლის მობინადრეების წვერებს ემსგავსება. ამ ადგილეს ეძახიან ოჯვიბინე და ლანქერ. ჯვიბინუა მეგ-

რულში არის გაკვირვების და გამოშტერების შუალედური მდგომარეობა. ოჯვიბინე ხასიათდება გაუვალი ბარდევ-ლის, ქაცვის ბუჩქების გადახლართულობით, თანაც უამ-რავი ტურების სიმრავლით და ზოლად მიყვება კოდორის ნაპირებს ზღვამდე. არაადეკვატურად მოქცეულს ეკითხე-ბოდნენ - „ოჯვიბინედან ხომ არ მოსულხარ“.

ლანქერ - სოფლის ახლოს მდებარე დიდი მინდორია, რომელსაც იყენებდნენ საქონლის საძოვრად. ლან მეგ-რულში არის მდებარეობა, ადგილი და იქ ყოფნის სინონიმი. მაგალითად: ლანჩხუთი, ლან - ადგილი, ჩხუ - ძროხა. ძრო-ხის ადგილი, ძროხის საძოვარი. ამ პრინციპით ლან-ქერ, სადაც ქერ არის ქერი. ქერის ადგილი ან ქერის ყანა. ამ ჩა-მონათვალში შედის დასახელება ომარიშარა. დღეს ომარ-იშარი ჰქვია სოფელს და მანამდე იყო გზის დასახელება, რომელიც აკავშირებდა სოხუმს და ტყვარჩელს ყარაჩაის-თან - კონკრეტულად აბაძინების რაიონთან და ქ. კლუხორ-თან. ომარი - სახელია, შარა - გზა. აქ გზა კლუხორის უღ-ელტეხილია (ქალაქის დღევანდელი დასახელება ჩემთვის უცნობია. მ. კ.). ამ უღელტეხილით ხდებოდა აბაძინების შემოდინება კოდორის ხეობაში და აგრეთვე ტყვარჩელის მიდამოებში (ენა არ განსხვავდება აფსუურისგან, უფრო სწორად, იგივეა). 1864 წელს მოყვნენ მუჰაჯირობას და რუ-სეთმა თოთხმეტი ათასს კაცი გაასახლა დალის ხეობიდან

(დღევანდელი აფხაზეთის სვანეთი) თურქეთში. მეოცე საუკუნეში გაასახლებენ ყარაჩაელებს და კლუხორის რაიონი შევა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის შემადგენლობაში 1943 წლიდან 1955 წლამდე. უღელტეხილზე დაიგება საავტომობილო გზა და ასე შემდეგ. აბაძინური წარმოშობის გვარები ცნობილია აფსუუბში. მაგალითად: აგრბა (აგრბე), არგუნ (არგუნოვ - რუსულ ტრანსკრიფციაში) და ა. შ. მათი კვალი ხეობაში შემორჩენილია აფსუური წარმოშობის ტოპონიმით: გენწვიშ, გვანდრა, საკენ, აუარა, მდ. პტიშ, აძგარა, ჩხალთა, შაბათკვარა, მდ. ზიმა, ბრამბრა... როგორც ტყვარჩელის და ოჩამჩირის ირგვლივ აფსუურ სოფლებში. მაგალითი: არა დუ -თხილი - დიდი, (მეგრული დიდ ნებ-ის , დიდი-ნიგოზი-ს ანალოგი), არა საძის (არა -თხილი, აძის-წყალი). არასაძის არის ადგილი მდ. მოქვის ნაპირას, სოფლის შესასვლელთან, სადაც გარეული თხილის ბუჩქნარის ძირებიდან გამოდის საკმაოდ მძლავრი წყარო და ჩაედინება მდინარეში. ნიგოზს და თხილს, აფსუურად, აქვს ერთი და იგივე სახელი - არა...

## ოჩამჩირე

განვიხილოთ დასახელება ოჩამჩირე და მისი უძველე-  
სი სახელიც. თვითონ ოჩამჩირეს სახელი მოდის თურქუ-  
ლი სიტყვა SIMSIR -იდან, ითარგმნება, როგორც ბზა (ხე  
- მეგრულში ბზაკალ) და ცნობილია, რომ ამ ადგილიდან,  
ინგლისში გადიოდა ყოველწლიურად **90** ათასი ფუთი ბზის  
მორები (ფუთებით იზომებოდა, წონით). ამ ხის მერქანი  
გამოიყენებოდა პირველ საქსოვ დაზგებში თავისი სიმ-  
კვრივის და დარტყმის გამძლეობის გამო. ბზის მერქნი-  
დან მზადებოდა მაქო . დღეს იშვიათად იციან ამ სიტყვის  
მნიშვნელობა. მაქო (მარქვი ან მარქვა - მეგრულად) არის  
საქსოვი დაზგის (საკერავი მანქანის) ნაწილი, რომელშიც  
მოთავსებულია მასრა - ზედ დახვული ძაფით. თანამედრო-  
ვე მაქო არის მრგვალი, მაგრდება საკერავ მანქანაში ქვე-  
ვით და არის კერვის დროს ქვედა ძაფის მომწოდებელი.  
საქსოვ დაზგებში მაქო იყო წვრილი ნავი-კანოეს მსგავსი  
და ხელის საქსოვებში ატარებდენ იქით-აქეთ, მარჯვნიდან  
- მარცხნივ და პირიქით - ძირითადი ძაფების ზევით-ქვევით  
გადაადგილებისას. პირველი ქსოვის მექანიკური დაზგე-  
ბიც მუშაობდა ამ პრინციპით და მაქოს ამოძრავებენ მარ-  
ჯვნივ-მარცხნივ ორი დამრტყმელი ნაწილების მეშვეობით  
და ამ მრავალსათანა და გაუთავებელ დარტყმებს უძლებ-  
და მხოლოდ ბზის მერქანი. თანაც ხის მაქო იყო მსუბუქი

და აქედან გამომდინარე ნაკლებად ინერციული ლითონ-თან შედარებით. ამიტომაც ოჩამჩირე და მისი „ექსპორტი“ იყო უაღრესად მნიშვნელოვანი ინგლისის ქსოვის მრეწვე-ლობის მექანიზაციის განვითარებისთვის. ამან „მოკლა“ სელის, კანაფის და საერთოდ, ქსოვილების ექსპორტი სა-მეგრელოდან. თანაც ბუნების მკვეთრად ცვლილებამ გა-მოიწვია სელის ხარისხის გაუარესება. მენქნუტი ქსოვილი გაცილებით იაფი იყო და ამან გააქრო ხელით ქსოვა. მაგ-რამ მეგრულ ოჯახებში ეს დაზებები ინახებოდა და თანაც იყო ხმარებაში. ბაბუაჩემის ერთი ჩოხა ინახებოდა სახსოვ-რად ჩვენს ოჯახში. ერთხელ შევესწარი მის მოვლა-გაფერ-თხვას, როდესაც ბებიამ ამოისუნთქა, „ეჲ, ნეტავ ის დრო, ამას რომ ვქსოვდი“. სკამზე ჩამოჯდა და რამდენიმეჯერ ხელის მოსმით მოეფერა ჩოხას.

ოჩიმჩირე (ო-სიმსირე) იყო ის გემების ნავსადგომი, სა-იდანაც ხორციელდებოდა ეს ექსპორტი ინგლისში. მალე შეიქმნება მანქანები, რომელშიც ძაფი ენოდებოდა გან-სხვავებული ხერხით და ექსპორტი „მოკვდა“, როგორც ქსოვილების ექსპორტი სამეგრელოდან. დადგა მეთვრამე-ტე საუკუნე.

## გუენოს

ოჩამჩირის უძველესი სახელია - გუენოს. დავშალოთ და გამოვიყენოთ მეგრული. გუ ენო. „გუ“ მეგრულიდან ით-არგმნება „გავს“ და აქედან რომ წარმოვიდგინოთ, რას უნ-და გავდეს, შეიძლება რომელაც ადგილს ან ქალაქს. სა-იდან არიან ჩამოსახლებულები? საბერძნეთიდან. დავძებ-ნოთ - და აპა, თურქეთში ქ. ენეზ (ძველი ბერძნული სახელი ენოს - თურქულად ENEZ , აგრეთვე ტHOC მდებარეობს ქ. ალექსანდრუპოლისთან , ეგეოსის ზღვის სანაპიროზე, და-ახლოებით 1300 კილომეტრში ოჩამჩირიდან. ალბათ, ნოს-ტალგიამ და მოგონებების მონაცემლება აბორიგენებში „შექ-მნა“ სახელი „გუ ენოს“ - „გავს ენოს“... „გუენოს“. მით უმეტ-ეს ცნობილია, არქეოლოგიური გათხრების შედეგად, რომ ბერძნები დასახლდნენ მანამდე არსებულ კულტურულ ფენაზე. ეს ნიშნავს იმას, რომ აქ ცხოვრობენ აბორიგენები და შემოსული ბერძნები ასიმილირდენენ ადბილობრივ მო-სახლეობასთან. ეს ფაქტი კიდევ უფრო ამყარებს ჩემს მიერ გამოთქმულ ვერსიას და მეორე ახლანდელი მეგრელების დნმ-ის კვლევების გამოქვეყნება პირდაპირ ადასტურებს, რომ - „მეგრელების გენეტიკურმა ანალიზმა გამოაჩინა პოპულაციის ხანგრძლივი უწყვეტობა დასავლეთ საქარ-თველოში (კავკასია)“. ეს დასკვნა ადასტურებს ამ უწყვე-

ტობის ხანგრძლეობას -1500-იანი წლებიდან ჩვენ წელთა აღრიცხვამდე - 3500 წელზე მეტს. აქედან გამომდინარე 600-იან წლებში ჩ. წ. აღრიცხვამდე აქ, მაღალი ალბათობით, ცხოვრობდნენ მეგრელები...

ამ ჰიპოტეზას აქვს აღტერნატივაც. საბერძნეთის კუნძულ კეფალონიაზე მდებარეობს მთა ენოსი და ეს მთა უმაღლესია მთელ იონურ კუნძულებზე. რომ გახედოთ კუნძულს ზღვიდან, შესამჩნევია ვიზუალური მსგავსება იმ ადგილთან, სადაც დაარსდა და მდებარეობდა ქ. გუ ენოს, ვინაიდან ხედს უმშვენებდა და დღესაც უმშვენებს სანაპიროდან ახლო მდებარე ულამაზესი ხედი კავასიონზე. გავს ენოს... იონური კუნძულები ორჯერ მეტ მანძილზე ოჩამჩირიდან. მაგრამ არგონავტების მოგზაურობის საწყისი წერტილი არ არის გამოკვლეული. ცნობილია მარტო ის ადგილი, სად არის შემჩნეული კოლხეთისკენ მიმავალი „არგო“ - ეს კუნძული ლესბოსია . ძველი კოლონისტების გამბედაობის და „მამოძრავებელი სტიმულის“ მიზეზი უცნობია. არვინ იცის რაზე იყვნენ წამსვლელი ისინი იმის-თვის, რომ გასულიყვნენ უსაფრთხო ადგილას. ამ ქალაქის უძველესი დასახელების ასეთი ახსნა არის ჩემს მიერ წარდგენილი და ამაზე მსჯელობა მიმინდია მკითხველისთვის. ჩემი ვერსია არ არის მყარი, მაგრამ სანამ ეს არ იქნება არგუმენტირებულად უარყოფილი, მანამ ამ ჰიპოტეზას აქვს

„სიცოცხლის“ უფლება. ამ დასახელებას, ჩემი აზრით, აქვს გამოცნობის ვარიანტების შეზღუდული რაოდენობა - ბერძნული, მეგრული და ლაზური (თუმცა ლაზები აქ ჩნდებიან ჩ.წ. I სკ-ში, მაგრამ შეიძლება მოხდა „მორიგი“ სახელის ცვლილება, მეზობელი ტიტულოვანი ერების მიერ, რაც მომხდარა მანამდეც). ქალაქის დაარსების პერიოდში სხვა ეთნოსები და მათი ენები ამ ლოკაციაში წარმოდგენილი არ არის, თუმცა გათხრების შედეგად აღმოჩენილია არამეული დამწერლობის რამდენიმე ასო და აგრეთვე ბერძნული ასოები ძველ აგურზე და მარმარმარილოს ფირფიტაზე. მე ისიც მაქვს მხედველობაში როგორ ცდილობენ ზოგიერთები, გაამრუდონ ისტორიული წარსული შავი ზღვის ამ და შემდეგ პერიოდებში ახალი მითების შექმნით. ასეთი პრეცედენტი იყო, მგონი 70-იან წლებში, როდესაც სოხუმში დაპატიმრეს რამდენიმე მყვინთავი, რომლების საცხოვრებელში იყო აღმოჩენილი ამფორების ნატეხები, წარწერებით ერთ მეზობელ უნაზე, მომზადებული ჩასაყრელად „დიოსკურიაში. ყველა მონაწილე „გასროკეს“. ისტორიული მონაცემებით, დადასტურებით ცნობილია აქ წარმოდგენილი ეთნოსების დასახლებების ადგილები. კოლხიდა მთავრდება აფხაზეთით, აფხაზეთს ესაზღვრება ჯიკეთი (ჯიქეთი) - ეთნოსი გამქრალია ისტორიიდან ენასთან ერთად, ამიტომაც დღეს შეუძლებელია აქაური ტოპონიმების

„დეკოდირება“ ვინაიდან კოდი - ჯიკების ენა დაკარგულია და მაგის შეცვლა სხვა ენებით გამორიცხულია. ჯიკების კვალი დარჩენილია მხოლოდ გვარებში უიქია, ჯიქიძე და ჩემი ვარაუდით ჯიკირბ. მაგრამ წებას მივცემ ჩემ თავს და გამოვთქვავ ვერსიას მეგრულენოვანი ორი ტოპონიმის არსებობას ჯიკეთში. ტუაფსეს მახლობლად დღესაც ხმარობენ სიტყვას „ზიქ“ („ბიჭო“ ქართულად).

გელენჯიკ და ჩემიტოკვაჯე. ქართულ ტოპონიმიში ვრცლად არის გამოყენებული მცნებები გარე, შიდა. მეგრულად „გარე“ არის „გალე“ და აგრეთვე „გალენ“ ( მაგალითად: „გარე-ქართლი“ არის „გალენ-ქართ“). გელენ ჯიკ სხვა რამეს არ წარმოადგენს თუ არა და ჯიქს (ჯიქს) ანუ ქართულ-მეგრულად ჯიქეთს (ჯიკეთს). მეორე ნახევარი პოულობს აზრს მეგრულში გელენ - გალენ (ანუ გარე) ჯიკი. გამოვიდა გალენ ჯიკ-გარეჯიკი. ამ დასახელებით, ალბათ, განისაზღვრა ჯიკების დასახლების არეალი. ანალოგი - გარე ქართლი, შიდა ქართლი. გამოვიდა გალენ ჯიკ - გარე ჯიკი. მეორე ტოპონიმიც მე მივაკუთვნე მეგრულ წარმოშობას. ჩემიტოკვაჯე . მეგრულიდან ეს ტოპონიმი გამოიყურება საკმაოდ სასაცილოდ ვინაიდან ამ სიტყვის მეორე ნაწილი ითარგმნება როგოც სა ყვერე, და დარჩენილზე მოგახსენებთ. წარმოუდგენელია, რომ ეს სიტყვა ყოფილიყი ამგვარად გამოყენებული, მაგრამ უმნიშვნელო ცვლილე-

ბით ის იძენს სულ სხვა აზრს ოგვეჯე რაც ნიშნავს ბუდეს. დავძებნოთ. ვის ბუდეს? და ბევრი ქექვის შედეგად ამოვ-იდა ჩემიტ, რომელიც აღმოჩნდა ბურიატული სიტყვა და ნიშნავს უკვდავს. გამოვიდა - უკვდავის ბუდე, აქედან შე-იძლება ამ დასახელების გაჩენის დათარიღება. ეს ის დროა, როდესაც ეს ტერიტორიები დაპყრობილია მონღლობის მიერ. ბურიატები და მონღლოლები ჯერაც მეზობლებია მე-რედა მონათესავე ერებია დედაქალაქებით – ულანუდე და ულანბატორი. რეზიუმე: ვარაუდით ადგილი იყო ან მაღა-ლი რანგის სახელმწიფო ჩინოვნიკის ან რომელიმე თარხა-ნის რეზიდენცია.

საწყისები. აქ უკვე დროა შევეხოთ მეგრულ ენოვანი ეთნოსების წარმოშობას. რატომაც არა თუ დავეყრდნობით იმას, რომ მეგრელები და მოძმე ხალხები არ არიან ეგვიპტე-ლი ჯარის „ნამსხვრევის“ შთამომავლები, ვინაიდან ამ თე-ორიით ძალიან დიდ სივრცეში ჩარჩენილა ის ეგვიპტელი, ფარაონ სესოსტრიისის ჯარის „ნამსხვრევი“, რომელმაც, პლინიუსის ცნობით, დაიპყრო კოლხეთი. ეს არის „ბუნებ-რივი ისტორიის (PLINIUS, Lib. 33 cap. 3) პლინიუსი იუნყე-ბა, რომ იმ დროს კოლხეთში მეფობდა მეფე სალაუჩე“,

პირველი: ამ „ნამსხვრევებს“ ზეგავლენა უნდა მოეხდი-ნა ამ რეგიონზე, მაგრამ ეს არ მომხდარა. ყოველ შემთხვე-ვაში, მსგავსი ფაქტი ისტორიაში ცნობილი არ არის.

**მეორე:** თუბალურ-მესხურ-ჯავახურ-ლაზურ-ჭანურ-მეგრულ-ზანურ-სვანურ ენოვანი ეთნოსები არასდროს არ იყო გაერთიანებული ერთ სახელმწიფოში და ამას აქვს ლოგიკური ახსნა. ეთნოსებს აერთიანებდა ერთი ენობრივი ჯგუფი. უფრო მარტივად რომ ვთქვათ – ერთი ენა და ეს დადასტურებულია ისტორიულ ქრონიკებში, მაგრამ ეს არ-ის არსებობა სასტიკ და შეურიგებელ ერების და მათ მიერ შექმნილ მძლავრ იმპერიების შუალედში.

ამის შედეგად - ზოგი მათგანი გაქრება ისტორიიდან. მოგვიანებით „ხალხების უდიდესი გადმოსახლების“ რამ-დენიმე ტალღა გადაუვლის ევროპა-აზიის დამაკავშირებელ სტეპებს და შეცვლის ამ რეგიონის ეთნიკურ შემადგენლობასაც. ევროპა მიიღებს მძლავრ ახალ ნაციონალურ სახელმწიფოებს. ხდება რომის იმპერიის ტრანსფორმირება და იმპერიის „სიმძიმის ცენტრის“ გადატანა ბიზანტიაში. ეს კი ამ ტერიტორიებზე მცხოვრებ ეთნოსებს აყენებს განადგურების ზღვარზე. შემდგომში მდგომარეობას ამძაფრებს არაბების ტომების გაერთიანება ერთი რელიგიის ქვეშ და იქმნება ახალი არაბული სამყარო, რომელიც აცხადებს პრეტენზიას მცირე აზიის, სპარსეთის, ბიზანტიის და მათ შუალედში არსებულ მიწებზე და შავი ზღვის ნაპირებზე გასვლის სურვილს. არაბების შემოსევამ მოახდინა მძლავრი ზეგავლენა ქართულენოვანი ხალხების ეთ-

ნოსების შეფარდებაზე ქართლელების სასარგებლოდ და ეს პროცესი, უფრო ვრცლად, იქნება განხილული ოდნავ მოგვიანებით.

ბოლო ხანებში გამახვილდა ყურადღება ანატოლიის და მიმდებარე ტერიტორიების მიმართ და აქ აღმოჩენილ უძველესი კულტურული ფენების მიერ. ამან გამოიწვია უფრო ღრმა გამოკვლევა ამ არტეფაქტების და ჩაღრმვავება ისტორიის უცნობ ეპოქებში, აგრეთვე სავარაუდო უძველესი პროტო ენების ძებნა.

ამ პროცესში ჩაერთო მსოფლიოს გენეტიკოსები რომელთაც გაუჩნდათ დნმ-ის გამოკვლევის უახლესი მეცნიერული მეთოდები. ერთ-ერთი ასეთი ნაშრომი, რომლის განხილვას დაგპირდით, ეს არის:

**Genetic Analysis of Mingrelians Reveals Long -Term Continuity of Populations in Western Georgia (Caucasus).**  
Teodore G. Schurr, Ramaz Sengelia, Michel Samoon-Pour, David Chitanava, Sorena Laliashvili, Irma Laliashvili, Redate Kibret, Yanu Kume-Kangkolo, Irakli Akhvlediani, Lia Bitadze... Show more Author Notes.

Genome Biology and Evolution, Volume 15, Issue 11, November 2023, evad198, <https://doi.org/10.1093/gbe/evad198>

Published: 03 Novembed 2023 .

მეგრელების გენეტიკური ანალიზი აჩენს პოპულაციის

უწყვეტობას დასავლეთ საქართველოში (კავკასია). ავტო-  
რების გვარები გასაგებია უთარგმნელად. მ. კ.

გენომური ბიოლოგია და ევოლუცია. ტომი 15, გამოცე-  
მა 11. ნოემბერი 2023, და მისამართი ინტერნეტში.

ნაშრომში განხილული და შედარებულია გენეტიკური  
მასალები მთელი კავკასიონის და მოსაზღვრე რეგიონებ-  
ის ერების და აქედან გამომდინარე, მათი სავარაუდო მიგ-  
რაციები და დიპლოკოდების უამრავი სახეობები. მე არ  
შემიძლია ამ საინტერესო სტატიის ციტირება, და დაინ-  
ტერესებულებს შეუძლიათ თვითონ გაეცნონ ამ მასალას.  
მე მხოლოდ გავიმეორებ ავტორების დასკვნას, რომელიც  
იმეორებს სტატიის დასახელების პათოსს. თარგმნილია ინ-  
გლისურიდან.

... „ამის გარდა, მეგრელების და ბრინჯაოს ხანის კავ-  
კასიდან პოპულაციის გენომური მონაცემების შედარე-  
ბამ აჩვენა, რომ ძირითადად, ხარისხად ისინი ერთნაირია.  
მთლიანობაში ეს შედეგები მიუთითებს სამეგრელოში პო-  
პულაციის ზოგადი ერთგვაროვნების არსებობის შესახებ,  
რომელიც ალბათ, თავად წარმოადგენს მოსახლეობის თა-  
ობების უწყვეტობის მაღალ ხარისხზე, უფრო ფართოდ,  
კავკასიის რეგიონში ყოველ შემთხვევაში, მინიმუმ, ბრინ-  
ჯაოს ხანიდან, როგორც შემდგომში გვთავაზობს D სტა-  
ტისტიკა. ეს შედეგები, აგრეთვე, მოწმობენ რომ მეგრე-

ლები, როგორც პოპულაცია, ევოლუციონერდნენ მეგრულ ენასთან ერთად ამავე პერიოდის განმავლობაში.

იგივენაირად ჩვენი მონაცემები მოწმობენ იმაზე, რომ მეგრელების პროფილი ჩამოყალიბდა მანამდე, სანამ და-სავლეთ საქართველოში გაჩნდა კოლხური კულტურა და-ახლოებით 1500 წ. ჩ. წ. აღრიცხვამდე (აფაქიძე 2008). ამასთან დაკავშირებით მკვლევარებმა აღნიშნეს მატერი-ალური კულტურის უწყვეტობა სამეგრელოში, შემდგომში ბრინჯაოს და რკინის ეპოქების გავლით (მაგალითად საგო-ნა 2017) გარდა ამისა, იმ დროისთვის სვანეთი ჩრდილო-ეთში, ალბათ, იყო დასახლებული (ჩართოლანი 1974). სა-ინტერესოა, რომ მიუხედავად ამ თაობების უწყვეტობისა, არ არსებობს მოსახლეობის სტრუქტურა. ეს დასკვნა, რო-გორც წესი, მოდის შეთანხმებაში ჩვენს დაკვირვებასთან იმაზე, რომ მეგრული გვარები არ არიან დაკავშირებული კონკრეტულ ყ-ქრომოსომებთან, რაც მეტყველებს კლანე-ბის ან ხაზების არარსებობაზე, რომელნიც დაფუძნებულია პატრისაზოვანობის კუთვნილებაზე...“

მე VII საუკუნის შუა ნლებში იწყება არაბების ტალღო-ვანი, გამანადგურებელი შემოსევები საქართველოში... ამ-ას ხელს უწყობენ მოძმე ხალხების ერისთავების გააფთრე-ბული ფეოდალური გარჩევები და დასუსტებული ხალხების „მიერთება“. ჩნდება იმერეთი, გურია და აჭარა. მოგვიან-

ებით კი აფსუები აჭრიან სამეგრელოს ეგრეთ წოდებულ „სამურზაყანოს“, რასაც ხელი შეუწყო ზემოთ აღნიშნულმა პროცესებმა. და XVII საუკუნისთვის სამეგრელო „შემოიხაზა“ ენგურ-ცხენისწყალის და ქვემო რიონის ნაპირებით.

განთქმული კელასურის კედელი გაჭიმულია სოხუმი-დან მდინარე ენგურამდე (დღეს ენგურის წყალსაცავამდე) და წარმოადგენდა სამეგრელო აფხაზეთის საზღვარს. XX საუკუნეში ნაგებობა „შეისწავლა“ ვინმე ვორონოვმა და დაადასტურა, რომ ის აშენებულია მომთაბარე ტომებისგან ეგრისის საზღვრების დასაცავად მეგრელების მხრიდან. ამას ამტკიცებდა იმით, რომ კედლის და კოშკების ფასა-დი ანუ „პირი“ მიმართულია ჩრდილოეთისკენ - სოხუმის-კენ. მაგრამ ამ სიმართლეს ჰქონდა „მოკლე სიცოცხლე“, ვორონოვმა გადათქვა თავისი მტკიცებულება და კედელი გახდა „Великая Абхазская стена“ და ლამის გაუტოლა ჩინურ კედელს. ეს არის ერთ-ერთი ნიმუში სხვისი ისტორიის და ტოპონიმიკის სხვებისთვის „მიწებების“ - გაყალბების.

კედელთან რამოდენიმე ადგილას ვარ ნამყოფი - მდინარეების კვეთის ადგილას, მაგრამ ერთი არის ჩემთვის დაუვიწყარი. ამ მდინარის დინების მანძილი არის ათეული კილომეტრი. ის ეჯახება მთის კედელს და მთლიანად იკარგება ნაპრალში. ამ ადგილას არის პატარა აფსუური დასახლება. სახელიც არ ვიცი. მდინარის „ბოლო“ დაშორებულია

კელასურის კედლიდან, დაახლოებით, სამი კილომეტრით. ჩვენ კი მიგვასწავლეს გზა იქიდან, სადაც ჩვენ ხშირად დავ-დიოდით საკალმახოდ და უკანაც მოგვიწია იმ ძნელი და გრძელი გზით დაბრუნება. მეორედ იქ ჩასვლა შეგვიშალა ომბა.

მდინარის ნაკადი ეფერებოდა ძველთაძველი მაღალი კოშკის ნარჩენებს. უკვე ბინდებოდა და თანაც ისეთი სა-ოცარი ადგილი იყო, რომ გადავწყვიტეთ იქვე ღამის გათევა. ჩვენს ირგვლივ იყო ასწლიანი წიფლების ტყე. მსხვილი სწორი ხეების ტოტები იშლებოდა ძალიან მაღლა. ქვედა სივრცე იყო მოფენილი დაახლოებით ათ-თხუთმეტ სანტი-მეტრიანი სუფთა და მშრალი ხავსით, რომელიც ფარავდა ირგვლივ მთელ ხილვად სივრცეს. მთებში მაღლე ღამდება და მდინარის ნაპირას დავანთეთ კოცონი, რომლის შუქმა აამოძრავა სივრცე ჩვენს ირგვლივ. პატარა წავიხემსეთ, წამოვწექით და იმ პოზებშივე გაგვაღვიძა ტყის შრიალმა და ჩიტების გალობამ. მეორე მსგავსი, ზღაპრული ღამე, ჩემს ცხოვრებაში არ ყოფილა!

ამ ჩემ ნამუშევარში არ იქნება განხილული დასახლებები ზუგდიდიდან კოდორამდე, ვინაიდან ეს ტოპონიმია არის დაფიქსირებული არქანჯელო ლამბერტის წიგნში, „კოლხე-თის აღწერა, ამჟამად სამეგრელოდ წოდებული“. გამოცე-მული 1654 წ. ნეაპოლში, რუკასთან ერთად. მოგვიანებით

იქნება განხილული ბევრი სხვა ტოპონიმი, რომელიც არიან წარმოშობილი მეგრულ-ლაზური ენებიდან იმიტომ, რომ ითარგმნებიან და იძენენ სემანტიკურ დატვირთვას მარტო ამ და, ალბათ, იმ დაკარგულ ზანურ და ჭანურ ენებზე. შეიძლება აქ დაწერილი იყოს სადაო, მაგრამ ვარწმუნებ ყველას, რომ ჩემი მიზანია ვეცადო მივიყციო ყურადღება ამ პრობლემისადმი! უნდა დამთავრდეს ქართველი ერის ისტორიის განიავება და გაყალბება! იმიტომ, რომ ეს ისტორია და ტოპონიმია არის ზოგად ქართველი ეთნოსების, ანუ ეკუთვნის საქართველოს. ისტორიულად ყველა არსებული იმპერია ან თანამედროვე დიდი ქვეყანა ქმნის დომინანტ ენას, რომელსაც ითვისებენ ამ ქვეყნებზე დამოკიდებული ან დაპყრობილი ქვეყნების ხალხები. ასე შეიქმნა ერები, რომლებსაც სახელმწიფო ენებად აქვთ ინგლისური, ფრანგული, გერმანული და ასე შემდეგ ენები. რუსული ენა ყველა ეთნოსისთვის აუცილებელია და ის ერებიც რომელიც გავიდა რუსეთიდან, ინერციით, აგრძელებენ რუსული ენის გამოყენებას. ამით არის განპიროვნებული ის რომ ისტორიაც, საუკუნეების მანძილზე შექმნილია ამ ზემოთ ხსენებული ერების სასარგებლოდ, ვინაიდან სხვა, ნამდვილი ფაქტები და მასალები, უბრალოდ, ტიტულოვანი ერების მიერ ან განადგურებულია ან შენახულია საიდუმლო საცავებში. აქედან გამომდინარე ნებისმიერი ახალი

აღმოჩენები ან კვლევები იწვევს დიდ წინააღმდეგობას იმ-ათგან ვინც უკვე გააყალბა ფაქტები და „მოჭიმა“ ისტორიის „ტყავი“ თავის „ჩონჩხზე“, ან ამ პროცესშია დღეს. ამ-ას დავამატოთ ტიტულოვანი ერების საქები „ისტორიული ნამუშევრები“ და ზოგიერთი „მოძმე ერების მეცნიერების“ მცდელობა ჩვენი ისტორიის და კულტურის გამოყენებით თავის ეთნოსის წარსულის „მნიშვნელობის ამაღლება-გა-დიადება“. ამის ფილტრი დღეს არ არსებობს...

დავუბრუნდები თუბალების თემას, რომელზეც უამ-რავი რესპონდენტი აქვეყნებს თავის აზრებს და ორგებს თავზე პირველი აღმომჩენის მანტიას. მეგობრებო, დამ-შვიდდით. დავესესხები ი. ყიფშიძეს და მის „მეგრულ (ივ-ერულ) ენის გრამატიკა ქრესტომატიასთან და ლექსიკონ-თან“. გამოცემულს 1914 წ. რომელსაც უკავია ადგილი ერთ თაროზე ნ. მარის „ჭანური (ლაზური) ენის გრამა-ტიკასთან“ 1909 წ. და წარმოგიდგენთ „მეგრული გრამა-ტიკის“ წინასიტყვაობას რუსულ ენაზე მომდევნო თარ-გმანით: „О названии „мингрельский,” или „иверский” языка. Пределы его распространения в древности. Мингрельский язык находится и ближайшем родстве с чанским, составляя вместе с ним одну из групп яфетической ветви языков, именно тубал-кайнскую группу. Вторая половина этого библейского названия, кайнский, равняется названию чанский, а первая, тубальский

(т/магкое/грузин. тувалский), названию мингрельский через промежуточную форму иверский.

Еврейский учёный **Йосиф Флавий** (1-й в по Р. Х. нашей эры), излагал в своих Иудейских древностях библейскую родословную народов. говорит, между прочим, что тувалийцы, происходящие от Иафетова сына Тувала (Бытие 10,2 еврейское название, греческое название, Г. ὡβάλ: accipr. Tosal ), в его время назывались иверами )...

თარგმანი: „დასახელებაზე „მეგრული“ ანუ „ივერული“ ენა. მისი გავრცელების საზღვრები უძველეს დროში.

მეგრული ენა უახლოეს ნათესაობაშია ჭანურთან, და შეადგენს მასთან იაფეტური ენების ტოტის ერთ-ერთ ჯგუფს, ზუსტად თუბალ-კაინურ ჯგუფს. ამ ბიბლიური დასახელების მეორე ნახევარი, კაინური, უდრის ჭანურს, პირველი კი ტუბალური, (გ/რბილი/ქართულ.თუვალური), დასახელებას მეგრული შუალედური ფორმის მეშვეობით ივერული.

ებრაელი მეცნიერი იოსიფი ფლავიი (I ს. ქრისტეს შობიდან. ჩვენი ერა), თავის იუდეველ უძველესობებში ბიბლიური ერების მემკვიდრეობაში, ამბობს, სხვათა შორის, რომ თუვალელები, წარმოშობილია იაფეტის შვილის თუვალის-გან (ყოფა 10,2 ებრაელური სახელი, ბერძნული სახელი, ქ. ოობულ: აისორ. Tosal), მის დროს ერქვათ ივერები)“... თუ-

ვალი, თუბალი, ტუბალი, ტუვალი, ტაბალი, ფუბალი... ეს არის იმ უძველესი ხალხის სახელები, რომელიც შემორჩა ისტორიას და რომლის წინაპრობაზე აქვთ პრეტენზია იტალიელებს, ესპანელებს, ბასკებს და აგრეთვე ჩვენც, ქართველებს. და თუ გავიხსენებთ „ორ იბერიას შორის“ („МЕЖДВУХ ИБЕРИЙ“) ფილმების სერიალს, ამ ნაშრომის ავტორი - არტემი ივანცოვი ამ უძველეს კავშირს ამყარებს ამ ქვეყნების საზღვრებში დღემდე შემორჩენილი ქართულენოვანი ტოპონიმების კვლევით. ცნობისთვის: გირჩევთ წაიკითხოთ წიგნი „Королевская примула“. ალექსანდრ ვასილევიჩ კიკნაძე. ქართულად: „იბერიის ლეგენდა. ფურისულა“. ალექსანდრე კიკნაძე. ეხება ბასკების გადასახლებას და ეფუძნება ბასკების უძველეს ლეგენდას. ეს იმის ასახსნელად - რატომ უნდა აინტერესებდეთ ბასკებს თუბალებ ... და რა შუაშია აქ მეგრელები. ეს თემა მინდა განვიხილო ვანის არქეოლოგიური გათხრების დათვალიერების გახსენებით.

1975-76 წ.წ. ქ. ვანში ყოფნისას შემომთავაზეს ვანის გათხრების დათვალიერება რასაც მე დიდი სიამოვნებით დავთანხმდი. ეკსკურსიის გიდის გვარი და სახელი არ დამამახსოვრდ, ამაგრამ ის იყო იმ დროს ვანის არქეოლოგიური ეკსპედიციის ეფროსი და ცხოვრობდა ჩვენი თანამშრომლის სახლში, ვისი თხოვნის შედეგად, პატივი დამდო და და-

მათვალიერებინა გათხრები. იმაზე უკეთესი ინფორმაცია ვანზე მე არ მიმიღია. ამ მონაყოლიდან ჩემს მეხსიერებაში ყველაზე დიდი კვალი დატოვა ერთმა ვითომ უმნიშვნელობამ... ყოველი გათხრების ახალი ჭრილის დათვალიერებისას მეცნიერი ამახვილებდა ჩემს ყურადღებას გათხრების მიწის ვერტიკალურ კედელზე და ოდნავ ხელის წასმით გასუფთავებულ სივრცეზე აჩენდა ათასწლოვან ფენას. ამ ჭრილზე თითოთ მიჩვენებდა წვრილ, ასანთის ღერის სისქის მკვეთრად გამოჩენილ შავ ზოლს. ასე მოვიარეთ მთელი გათხრების სივრცე და შევუდექით გზას ქვევით. გათხრების არეალის დატოვების ადგილას შევჩერდით. შემახსენა შავი ხაზები გათხრების ფენებზე და გააგრძელა, რომ ანალიზის მიხედვით ეს ფენა წარმოადგენს ჭვარტლს და განლაგებულია ფენაში რომელც, ვარაუდით, ეკუთვნის ჩვენთ წელთ აღრიცხვამდე IX (მეცხრე) საუკუნეს. და ამ ჭვარტლით როგორც ჩვენ ვნახეთ ამ პერიოდის ფენა დაფარულია მთლიანად. თანაც გასაკვირია, რომ ამ ფენაში არ არის აღმოჩენილი არც ნერვები, ხანძრები და არც სამხედრო მოქმედებების კვალი. და ეს არის ვანის გათხრების საიდუმლო...

გავიდა რამდენიმე წელი და მე კი „Королевская примула“-ს წაკიტხვისას გავეცანი ბასკურ თქმულებებს. მათი წარმოდგენით „ძველი სამყარო იყო განადგურებუ-

ლი ცეცხლსა და წყალს შორის უდიდეს ომში“. მეხსიერებაში შემომრჩა მათი ლეგენდის „ნამსხვრევები“ - „იწვოდა ირგვლივ ყველაფერი - მიწა, წყალი, ჰაერი და ქურუმებმა აუწყეს, რომ ღმერთები განირისხა მათზე და უნდა დაეტოვებინათ თავიანთი მიწა-წყალი და ევლოთ იმდენ ხანს სანამ არ მონახავენ მშობლიური მიწის მსგავს სივრცეს“... და მიადგნენ ბისკაის ყურეს...

ცნობილია, რომ წარსულში შავი ზღვა რამდენიმეჯერ იყო აალებული. და ამის საფრთხე არსებობს მომავალშიც. ყველაზე ცნობილი ესეთი შემთხვევა მოხდა 1927 წელს ყირიმში მიწისძვრის შედეგად გოგირდწყალბადი ამოიფრქვა ზედაპირზე და მეხის დარტყმით აალდა. ცეცხლის სვეტი აღნევდა 100 მეტრს და იწვოდა რამდენიმე დღე. არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომელიც მიიყვანს ასეთ კატასტროფამდე. ამგვარი მოვლენა ხომ არ არის ბასკების ცნობილი ლეგენდის გაჩენის მიზეზი და შავი ზღვის პირა მოსახლეობა ამ „ხანძრების“ პერიოდულობით განიცდის მიგრაციას...

ცნობილია თუბალების დასახლების არეალიც და ეს არის კაბადოკია . ლაზეთ-მესხეთ-ჯავახეთის მოსაზღვრე ტერიტორიები. ესე იგი ამ ზღვრებიდან არის, სავარაუდოდ, მესხურ, ჯავახურ, ზანურ, ლაზურ, მეგრულ, ჭანურენოვანი ეთნოსების დასახლების არეალი. ზოგიერთი უძვე-

ლესი დასახელება შემორჩენილია მაგრამ დღეს - თუბალები, იმ დროინდელი მესხები და ჯავახები, ჭანები და ზანები არ არსებობენ. ეს ეთნიკური ფენა გაქრა...

კაბადოკია. .... „Главными и плодотворными миссионерами на Ближнем Востоке и в сопредельных с Грузией землях история знает Каппадокийцев, а славная эта провинция Кабадокия, как известно, была населенна грузинским племенем. Каппадокийцы оказали громадную услугу делу распространения христианства. У Остготов христианство насаждено, как утверждает Бассель, киппадокийми пленниками. Между Вестготами (4 век) распространил и утвердил христианство епископ Ульфиле, потомок пленных Каппадокийцев. Просветитель Сугдейцев, архиепископ Стефань сугдийский, также Каппадокиец, Св. Равноапостольная Нина происходила из Кабадокии и Св. Григорий Низианзин, считающийся просветителем Арагвского ущелия, был Кабадокиец „выдержанка из труда Епископа Кириона (в мире Георгий Иеронимович Садзагелов) „Культурная роль Иверии в истории Руси“.

„...მთავარ და ნაყოფიან მისიონერებად ახლო აღმოსავლეთში და საქართველოს მიმდებარე მიწებში ისტორია ცნობს კაბადოკიელებს და ეს დიდებული პროვინცია კაბადოკია, როგორც ცნობილია, იყო დასახლებული ქართული ტომით. კაბადოკიელებმა გაუნიეს დიდი სამსახური ქრის-

ტიანობის საქმეს. ოსტგოტებში ქრისტიანობა დამკვიდრებულია, როგორც ბასსელი ამტკიცებს, კაბადოკიელი ტყვების მიერ. ვესტგოტებს შორის (IV საუკ.) გაავრცელა და დაამტკიცა ქრისტიანობა ეპისკოპოს ულფილამ, კაბადოკიელი ტყვეების შთამომავალმა. სუგდიელების განმანათლებელი, არქიეპისკოპოსი სტეფანე სუგდიელი, აგრეთვე კაბადოკიელია, წმ. მოციქულთა თანასწორნი ნინო მოვლენილია კაბადოკიდან და წმ. გიორგი ნიზიანზინი, რომელიც ითვლება არაგვის ხეობის განმანათლებლად, იყო კაბადოკიელი. „... ეს არის ამონარიდი ეპისკოპოს კირიონის ნაშრომიდან (ცხოვრებაში - გეორგი იერონიმის ძე საძაგელოვ) {საძაგლიშვილი. მ.კ.} „ივერიის კულტურული როლი რუსის ისტორიაში“.

კაბადოკიას და მის იმდროინდელ მოსახლეობას, როგორც ჩანს, ჰქონია დიდი მნიშვნელობა ქრისტიანობის გავრცელებაში და ეს გამოკვეთილია მის დღევანდელ კულტურულ იერსახეში უამრავი შემორჩენილი ქრისტიანული საკულტო ნაგებობების სახით. თვით დასახელება „კაბადო-კია“ ითარგმნება მეგრულიდან. კაბა ქართულში და აგრეთვე მეგრულში ნიშნავს კაბას. დო მეგრულად არის - და. კია და კილა არის კლიტე (სხვათა შორის ინგლისურშიც კლიტე არის „KEY“ - კი. ცნობისთვის: ინგლისურში ბევრი სიტყვა ემთხვევა მეგრულ დასახელებებს და სიტყვებს. მ.

კ.) „კაბა-და-კლიტე“. ჩემი აზრით ეს არის ძველი ქურუმების სამოსი, რომელიც გადავიდა ქრისტიანობაში. თოკშე-მორტყმული და კლიტე ჩამოკიდებულ კაბებში შემოსილი ღვთისმსახურები.

ქრისტეს შობით იწყება ახალი ეპოქა და პირველი საუკუნის შუა წლებიდან იბადება ახალი რელიგია. ქრისტეს მოციქულები იწყებენ ქრისტიანობის ქადაგებას.

დასავლეთ საქართველოს ერგო სამი ქრისტეს მოციქულის ჩამობრძანება.

ნმინდა მოციქული მათათე (მოციქული, რომელიც იყავებს ქრისტეს გამყიდვეელ იუდას ადგილს) ჩამოდის ჭანეთს აქ მოღვაწეობს და აქვე განისვენებს -ბათუმთან ახლოს, გონიოს ციხესიმაგრის ეზოში.

ნმინდა მოციქული სვიმონ კანანელი ქადაგებს ცხუმთან - კამანში და განისვენებს ახალი ათონის მონასტერში.

კამანის ეკლესიასთან არის დაკავშირებული იოანე ოქროპირის სახელი. ნმინდანი იყო გადმოსახლებული შავიზღვისპირეთში და ერთ-ერთ ვერსიით არის დასაფლავებული აქვე.

ნმინდა მოციქული ანდრია პირველწოდებული ქადაგებს სამეგრელოში. არსებული ლეგენდის მიხედვით ნმინდა ანდრია პირველწოდებული აღმართავს დიდ ხის ჯვარს სოფელ ჯვარის მიდამოებში მდებარე (დღევან-

დელ ინგურჟესის წყალსაცავის თავზე), ერთ-ერთ მთა-ზე. აქედან წარმოიშვა სოფლის დასახელება „ჯვარი“. ამის შემდეგ ჩადის ანაკლიაში და ნავით მიემგზავრება ტრაპიზონში საიდანც აგრძელებს მგზავრობას საბერ-ძნეთში.

დროის ამ მონაკვეთში (კოლხეთი) დასახლებულია ზანებით, მეგრელებით, ჭანებით, ლაზებით. კაბადოკი-აში, რომელიც ემიჯნება ლაზეთს, ცხოვრობენ თუბალე-ბი, აღმოსავლეთ საქართველოსკენ მაგათ ესაზღვრები-ან მესხები (მოსკები, მესქები) და ჯავახები. ამ ხალხებს აკავშირებთ ერთმანეთთან არა მარტო მესაზღვრეობა, არამედ საერთო ენობრივი კავშირი . მას ემატება აღმო-სავლეთ საქართველოში მცხოვრები მოძმე ეთნოსები, რომელთა ენაც წარმოადგენს იმავე ჯგუფს, ერთი და იგ-ივე ფუძეებით და იმ დროს (ალბათ) უფრო გასაგები და-სავლეთ საქართველოს და ზემოთ ჩამოთვლილი ეთნოსე-ბისთვის. ვარაუდით აღმოსავლეთ საქართველოს პქონ-და ურთიერთობა თუბალებთან. ამის ეჭვს ბადებს ზოგი ამ რეგიონში არსებული ტოპონიმი. ზეგავლენას ირიბად ადასტურებს - ამ დროის ქართული ანბანი, რომელიც შედგებოდა 38 ასოსგან და ზუსტად აკმაყოფილებს ყვე-ლა ქართული ეთნოსის ფონეტიკურ მოთხოვნებს. და „ქი-ლიკი“ მეგრელების ენის დამწერლობის არარსებობა კარ-

გავს ლოგიკურ აზრს. უბრალოდ ქუჯის დროიდან და მის მიერ თქმულიდან, ალბათ, არ არსებობს მეგრული ენის, როგორც სახელმწიფოებრივის, გამოყენების აუცილებლობა.

დღესაც არსებობს აღმოსავლეთ საქართველოში მეგრულენოვანი ტოპონიმები - არაგვი (არაგუუ - ეჯახება) ითარგმნება მეგრულიდან არაგვი - დაეჯახე და თევზი ორაგული - დამჯახებელი. მარაგვინჯე ხოჯ - რქებით დამჯახებელი ხარი. აგრეთვე ახლო ტერიტორიებზე - განჯა (განჯ - მეგრულად გააღე). მაგრამ როგორც ჩანს, შემდგომ ეპოქებში, ხალხები განიცდიან ძლიერ წნევეს მეზობელი მძლავრი, მტრული სახელმწიფოებისგან. მათ შორის საბერძნეთის, სპარსეთის, არაბების, მონღლოლების, თურქების და სხვა ხალხების დიდმა გადასახლებებმა კასპიისპირეთიდან და მდინარე იტილის (ვოლგის) მიდამოებიდან. ამ, განსაკუთრებით ბოლოს აღნიშნულმა მოვლენებმა, შეავინროვა ამ ადგილებზე მომთაბარეს სქვითი-სარმატების, სქვითი-კიმერიელების და უამრავი სხვა - სტეპებში მცხოვრები ტომების ყოფა და აიძულა ისინი უსაფრთხო მიწების ძებნა დაეწყოთ. ამ ტერიტორიების შუაში გახლეჩილი, დასავლეთით მყოფი ხალხები სახლდება ჩრდილოეთ კავკასიონის რეგიონში, ჩრდილოეთში კი ამ ერების ნამსხვრევები ითქვიფება სლავებში

და ქრება. იმ ადგილებში კი რჩება მათენოვანი ტოპონიმის მძღავრი ფენა.

ეს პროცესები „ეტაკება“ უკვე „მობერებულ“ რომის იმპერიის ამბიციებს და იწვევს რამდენიმე გალაშქრებას მითრიდატე VI ევპატორის წინააღმდეგ. ეს ომი ძირითადად მიმდინარეობს ეგრისის სამეფოში. ნელ-ნელა იკვეთება ახ-ალი იმპერიის (ბიზანტიის, თანაც ამ არეალში უკვე დაახლოებით VI ს. ჩ.ნ.ა. უკვე არსებობს ოკუპირებული ტერიტორიების ქსელი, ინვაზიური ქალაქ-კოლონიების სახით) გაჩენა რომელიც, მომავალში მოახდენს ამ რეგიონზე ზე-გავლენას. რომის მემკვიდრეს - ბიზანტიას მომძლავრებას მოყვა ახალი კონფლიქტები და დაპირისპირებები. კავკასიაში დომინირებისთვის ბრძოლა უფრო მძაფრდება. თითქმის ყველა მოწინაამღდეგეს შორის ომები ხდება ზანეთის ტერიტორიაზე. ეს ასუსტებს და ანადგურებს ამ კუთხეს და ბიზანტიის კეისარს უბიძგებს აქ ვასსალური სახელმწიფოს შექმნისკენ და ურჩევს შიდა ქართლის ერისთავ ვინმე - სტეფანოზს - „ქუთაისში ტახტად დაჯდომას“.

## არაბები

არაბების შემოსევამ აამოძრავა ალმოსავლეთ საქართველოს ხალხები და გამოიწვია მანამდე არნახული, მიგრაცია, უფრო სწორად, გახიზვნა.

**В Закавказье арабы вторглись так быстро- всего через двадцать лет после смерти пророка и их непобедимая конница ошеломила византийцев и персов, что пражёные народы не успели оказать сопротивление. Первый арабский конкистадор, молодой Хабиб ибн Маслама, появился в 634 году как разведчик и грабитель, но в 654-655 годах вернулся и наткнулся на отчаянное сопротивление византийской армии... Дональд Рейфильд. ГРУЗИЯ. Перекрёсток империй. История длиной в три тысячи лет. აი, რას ნერს დონალდ რეიფილდი თავის ნიგნში. საქართველო. იმპერიების გზაჯვარედინი. ისტორია სიგრძით სამი ათასი წელი. ... „ამიერკავკასიაში არაბები შეიჭრნენ ისე სწრაფად - ნინასწარმეტყველის მიცვალებიდან სულ ოცი წლის შემდეგ და მათმა დაუმარცხებელმა ცხენოსნებმა იმდენად გაოგნებული დატოვა ბიზანტიელები და სპარსელები, რომ გაოცებულმა ერებმა წინააღმდეგობის გაწევაც ვერ მოასწრეს. პირველი არაბი კონკისტადორი, ახალგაზრდა ჰაბიბი იბნ მასლამა გამოჩნდა 634 წელს, როგორც მზვერავი**

და მძარცველი, მაგრამ 654–655 წლებში ბრუნდება დამ-პყრობლად და შეეჯახა ბიზანტიელების თავგანწირულ წინააღმდეგობას „... დონალდ რეიფილდი... გვ. 67. და რე-იფილდი იქვე აგრძელებს, რომ „„ბიზანტია ვერ უწევს არ-აბებს სათანადო წინააღმდეგობას (ბიზანტიის სარდალი მავრიანი არაბებთან სომხეთში დამარცხების შემდეგ იხ-ევს და მაგრდება იბერიაში„... ჩემი აზრით, ემალება იმპე-რატორის რისხვას. მ.კ.). ვინაიდან, არაბები აგრძელებენ დაუცველი მოსახლეობის სასატყი აოხრებას. იგივე ხდება კახეთში და ალბანეთში. მავრიანის დამარცხებამ გამოიჩ-ვია სომხების მასიური გახიზვნა თავიანთი მიწებიდან და უსაფრთხო ადგილების ძებნაში თავს აფარებენ ზემო ლა-ზეთს, რომელიც არის ბიზანტიის ფარქვეშ. ამათ კვალს მიყვა კახეთის და გარე ქართლის მოსახლეობა. მოსახლე-ობა, აგრეთვე, გარბის შიდა ქართლიდანაც. ეს ნაკადი ავ-სებს დასავლეთ საქართველოს, მესხეთს, ჯავახეთს, ზა-ნეთს, ჭანეთს და აღნევს ეგრისს. ლტოლვილები ამ ადგი-ლებში პოულობენ შედარებით მშვიდ გარემოს. ცოტა მოგ-ვიანებით ზემო ლაზეთში გაბრწყინდება ტაო-კლარჯეთი, რომლის გამაგრებას ეცადა, თავის დროზე, ვახტანგ გორ-გასალი. ამ დალოცვილმა მიწამ აჩუქა საქართველოს და სომხეთს სამეფო დინასტიები - ბაგრატიონი და ბაგრატუ-ნი... და დატოვა ამ ორ ერს შორის სადაო კითხვები... და

გაქრა ისტორიის წიაღში... მთლიანად ამ პერიოდის განმავლობაში არაბებს მძლავრი წინააღმდეგობა არ ხვდებათ. ქართლის ერისთავები იხიზნებიან (გარბიან) თავი-ანთი სამფლობელოებიდან და ზოგ შემთხვევაში თავის ახლობლებთან ერთად მოსახლეობისგან მაღულად. ამას ადასტურებენ იმ დროის ქრონიკები.

„არაბებისგან დევნილი ქართლის მოსახლეობის ნაწილი იხიზნება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, სახელ-დობრ: ტაო-კლარჯეთში, აფხაზეთში და ეგრისში, რომლებიც ამ დროს ბიზანტიის კეისრის მფლობელობაში იყვნენ. იქ შედარებით მშვიდობიანობა სუფევდა. აღმოსავლეთ საქართველოდან გაზიზვნას ამ დროს ჰქონდა ფართო ხასიათი.

მაგალითად: როდესაც ნესრე - ქართლის ერისთავი, აფხაზეთში გაიხიზნა, მას გაჟყოლია 300 მამაკაცი, დიდებულთა მრავალთა ოჯახები, თავისი ყმებითა და მსახურებით.

ეგრისსში გაიხიზნენ თავიანთი ამალით ქართლის ერისთავები: არჩილ, იოანე, ჯუანშერი და სხვა. (ქართლის ცხოვრება, გვ. 208, 216). ჩვენ ვიცით, რომ ეგრისში რიონის სამხრეთით მდებარე მხარე V-VI საუკ. ირანსა და რომს შორის ხანგრძლივი ბრძოლების გამო თითქმის უკაცრიელი იყო. VI საუკუნიდან დაწყებული VII-VIII საუკ. ჯერ სპარსე-

ლებისგან და შემდგომ არაბებისგან დევნილი - აღმოსავ-  
ლეთ საქართველოს მოსახლეობა ამ მხარეში იხიზნებოდა,  
სახლდებოდა თავისუფალ ადგილებზე და იგი პოულობდა  
მეტ პოლიტიკურ-ეკონომიურ თავისუფლებას. ამგვარად  
VII-VIII საუკუნეებში ჩნდება ეგრისის გაქართველებული  
ნაწილები: ა ჭ ა რ ა, გ უ რ ი ა და ი მ ე რ ე თ ი. “ სერგი მა-  
კალათია. „სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია“. გვ. 70.  
და 7-მე გვერდზე ს. მაკალათიას მოჰყავს პრ. ი. ჯავახიშვი-  
ლის სიტყვები.

პ რ ო ფ. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ამის შესახებ ამბობს:  
„პლინიუსისა, პტოლემაიონისისა პროკოპი კეისარიელის  
ცნობები ამტკიცებენ, რომ კოლხეთის სამხრეთისა და აღ-  
მოსავლეთ ნაწილში მხოლოდ მეგრულ-ლაზების ტომები  
ცხოვრობდნენ. მაგრამ ამას ცოტა არ იყოს ის გარემოება  
არღვევს, რომ ახლა ამ ადგილებში, სახელდორ გურიისა,  
იმერეთში მეგრული კი არა, ქართულია გაბატონებული.  
გურულები და იმერლები მეგრულ-ლაზების მიწა-წყლის  
შიგ შუაგულში (გური - მეგრულ ენაში ნიშნავს გულს.  
მ.კ.) არიან შეჭრილნი და მეგრელებსა და ლაზებს ერთმა-  
ნეთისგან აშორებენ. ამისდამიუხედავად, ჩვენი ზემოაღ-  
ნიშნული დასკვნა იმის შესახებ, რომ თავდაპირველად  
კოლხეთის ეს მიწა-წყალი მხოლოდ მეგრელ-ლაზებს ეკ-  
უთვნოდა, მაინც შეურყველი რჩება, იმიტომ, რომ გურიის

საგეოგრაფიო სახელების დაკვირვება გვიმტკიცებს, რომ იმ ადგილას, სადაც ახლა გურულები ცხოვრობენ, წინად მეგრულად მოსაუბრე ტომი უნდა სახლებულიყო: ბევრი სოფელებისა და მდინარეების სახელების მნიშვნელობის ახსნა მხოლოდ მეგრულის საშუალებით შეიძლება. ან არა ადა მათ ცხადი მეგრული დამახასიათებელი თვისებები აქვთ. მაგალითად: მთა. ჯიხანჯირი (ჯიხა-ციხე), ჯუმა-თი, ოჩხამური (ჩხომი-თვვზი), ჭანიეთი, მდ. გუბაზეული და სხვა“. არ გავაგრძელებ ი. ჯავახიშვილის, ი. ყიფშიძის, ი. ვ. მეგრელიძის, ნ. მარის და სხვა მეცნიერების დასკვნების ციტირებას რამეთუ მათი დასკვნები უნისონშია. მით უმეტეს ეს ნაშრომები ცნობილია და ადვილად მოსახებნია დაინტერესებულებისთვის. ხოლო **642** წლიდან არაპების შემოსევას მოყვება ის, რომ აქაური მოსახლეობა, თავისი ერისთავებისგან მიტოვებული და დაუცველი, სპონტანურად გარბის, თავის მიწა-წყლიდან, უსაფრთხო ადვილების საძებნად. ამან გამოიწვია დასავლეთ საქართველოში ეთნიკური ცვლილება. ამის შესახებ დ. ბაქრაძე შენიშნავს, ჯერ მეგრულ-ჭანური ენის კვალს... ჰალისის მდინარესთან, ხეთების ქვეყანაში (? . მ. კ.)... მერე აგრძელებს... „მაგრამ იქ, სადაც კი მისი ახლო მონათესავე ქართული ენა მეგრული ენის მოსაზღვრედ ხდება (ზანერ-მეგრულ ... ენები ისტორიულად ყოველთვის ესაზღვრებოდენ ქარ-

თულ ენას. კოლხა და დიაოხა. მ. კ.), პირველი სრულებით იერთებს უკანასკნელს, თუ არა იმ გზით, სხვა გზით არ შეგვიძლიან ავხსნათ გავრცელება ქართულის ენისა მთელი შავი ზღვის პირზე რიონის პირიდან ჭოროხის პირამდე“ (დ. ბაქრაძე. საქართველოს ისტორია. გვ. 272). ასე აქვს ახსნილი ზანურ-მეგრულ-ჭანურის შეცვლა ქართულით დ. ბაქრაძეს. ეს ფაქტი არც ერთ ისტორიკოს არ განუხილავს და მით უმეტეს არ დაუკავშირებია რამდენიმე საუკუნის განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველოდან უზარმაზარი მიგრაციის შედეგად - მეგრულ ენოვანი რეგიონების გაქრობა დასავლეთ საქართველოში. მაგრამ პოსტ-ფაქტუმ დადასტურებულია ზემოთ ხსენებული ქართული ისტორიკოსების მიერ.

ზანეთი. ამ მხარის დასახელება დარჩა მარტო ერთი სოფლის დასახელებაში - საზანო. ამიტომაც ეს უძველესი მეგრულენოვანი პროვინცია საერთოდ არ არის ნახსენები უმეტეს ქრონიკებში. მაგრამ მის არსებობას ადასტურებს ის უზარმაზარი ტოპონიმური ფენა, რომელიც, ჯერჯერობით, შემორჩა ამ მიწა-წყალს: წყალტუბო, ოკრიბა, ღვანკითი, სვირი, ცხენტარო, კუმური, დიხაშხუ, ბალდადი, იგივე საზანო, ტყიბული, ჭიათურა, საჩხერე, ტყარჩელი, ხვამლე, ნამოხვანი (ნაოხვამუ), ლეჩხუმი, ცაგერა, ლასურიაში და უამრავი სხვა. მაგრამ მეგრული ტოპონიმიის ლინგვისტუ-

რი წყობიდან გამომდინარე შეგვიძლია გავაკეთოთ დაშვება, რომ დასახელების არსი გამახვილებულია რაღაცაზე, რაც ახასიათებს და განასხვავებს ამ კუთხეს სხვებისგან. გავიხსენოთ სა ჩხე რე, ჯა ვახე თი . სიტყვაში ერთი ასო „ა“ „ე“ ზე შეცვლით მივიღეთ ზანეთი-ზენეთი რაც მეგრულში იძენს აზრს. ზენ - მეგრულად ნიშნავს ბარს, ვაკეს გამოვიდა ბარეთი, ვაკეთი. ეხლა რომელიმე სკეპტიკოსი დაეჭვდება იმაში, რომ ზანეთი (დღევანდელი იმერეთი) უმეტესად არ არის ვაკე - სადაოა.

გავაგრძელოთ არაბების შემოსევის უძლირესი „ტალღა“. 735 წ. საქართველოში შემოიჭრა მარვან იბნ მოჰამედის (ქართველების მიერ მურვან ყრუდ „წოდებული“) და ეს მოვლენა იღებს უფრო სასტიკ სახეს. დასავლეთ საქართველოში მოზღვავებული ლტოლვილების ნაკადი ცვლის რეგიონის ეთნიკურ შეფარდებას ქართლელების სასარგებლოდ. იცვლება ენა და ზანეთი, ჭანეთი და სამეგრელოს ნაწილი ტრანსფორმირდება იმერეთად, გურიად და აჭარად. მიგრაციის, და ერისთავების მიერ თავიანთი სამფლობლების მიტოვების აღნერილია ქართლის ერისთავის სტეფანოზის მოღვაწეობის მაგალითზე, საკმაოდ კარგად შემორჩენილ ქრონიკებში. შიდა ქართლის ერისთავი სტეფანოზი არაბების შიშით, თავის შვილებთან მირთან და არჩილთან, გადავა ლიხს და შეიჭრებიან ზანეთში (ეს სამეული არაერთხელ

იქნება მოხსენიებული), სადაც, სავარაუდოდ, ხვდება ადგილობრივების წინააღმდეგობა და სტეფანოზი ალყას შემოარტყამს და აიღებს სოროპანის (მოროპანის) ციხეს და გააგრძელებს ზანეთის აოხრება-დაპყრობას. ზოგიერთ წყაროში ნახსენებია, რომ ერისთავმა თავის ხალხისგან მალულად დატოვა სამცყრობელო და გადავიდა ლიხს. მოგვიანებით, როდესაც მოსახლეობისთვის ეს გახდა ცნობილი, ლტოლვილების უზარმაზარი ნაკადი გადმოდის ქართლი-დან ზანეთს და სამეგრელოს (ეგრისს). სტეფანოზი შვილებთან აგრძელებს მოძრაობას ეგრისის მიმართულებით. არაბებიც გადმოდიან ლიხს. ეგრისი და აფხაზეთის სამეფოებიც ემზადებიან მათვის წინააღმდეგობის გასაწევად. ამ კოალიციას უერთდება სტეფანოზიც. გაერთიანებული ძალები მაგრდებიან ციხესიმაგრე ანაკოპიაში (დღევანდელი ახალი ათონი).

უდელტეხილზე ქართლ-ზანეთის საზღვარზე არის დასახლება სახელით მერეთი (მეგრულიდან - საოცარი, უცნაური, ძალით). ამ გზით - ხმლით და მახვილით შეიჭრა ზანეთში სტეფანოზი. შეიძლება მერეთთან იყოს დაკავშირებული ო-მერეთე (სა-ძალეთი) და ოდნავ შეცვლილი დასახელება - ო-მერეთი (იმერეთი). და როგორც აღვნიშნე, ზემოთ-ჭანეთი და სამეგრელოს ნაწილზე ჩნდება გურია. ამ ხალხს შემოაქვთ თავისი ენა და წეს-ჩვეულებები,

იცვლება ცხოვრების სტილი, ეზოების მოწყობა, ცხოველების სადგომების განლაგება. იმიტომაცაა, რომ ზემო დაქვემო იმერეთი განსხვავდება საცხოვრებელი სივრცეების მოწყობით. ან და ჩვენ დროსაც-სამეგრელოს ახალი მოსახლეობას გადმოაქვს თავიანთი კუთხეების საცხოვრებელი სივრცეების მოწყობის ტრადიციები. აქა-იქ შინაური ცხოველების სადგომები გამოტანილია ცენტრალური გზების პირას, რაც აშკარად ეწინააღმდეგება მეგრული ეზოების მოწყობის კონცეფციას. ყველა „ჭუჭყიანი“ ნაგებობა ამ მხარეში გატანილია უკანა ეზოში, საცხოვრებელი ოდების-გან მოშორებით, {ჩეჩმა, ოჩოულე დო ოლეჯე (საპირფარეშო, საძროხე და საღორე)], რათა ოჯახი, მეზობლები და ქუჩაში მოძრავი მოსახლეობა სუნმა არ შეანუხოს. ცხოველის საძოვრად გასარეკი გზაც მოწყობილია შუკების მეშვეობით, რაც ბოლო ხანებში ქრება მეზობლების მიერ მიწების მიტაცებით და პირუტყვი გროვდგა ქუჩებზე ყველა აქედან გამომდინარე შედეგით. მაგალითის მოყვანისგან თავს შევიკავებ...

ვინაიდან ჩემი ძირითადი მიზანია ტოპონიმების კვლევა დავუბრუნდეთ ამ თემას და განვიხილოთ რამდენიმე ტოპონიმი. მთა ჯიხანჯირი არის ციხე დაწოლილი (მწოლია-ანუ ჭანიების (ჭანების) საცხოვრებელი, მდ. გუბაზეული (გუბაზი - სახელია), ჯუნაგორა (ჯუნა - კოცნაა)

- კოცნის გორა, წყალტუბო (ტიბ-თბილი) - წყალი თბილი, ოკრიბა (კირიბ, კრიბ-ბატკანი) - საბატკანე (ცხვრებს წველიდნენ - ამიტომაც არსებობდა საბატკანე), ღვანებითი (ღვანკ - მოღუნული, კით-თითი) მოღუნული თითი, სვირი არის მილი, თოფის ღულა, ცხენტარო - საცხენოსნო, კუმური - ყ(ელიფი)უმური არის ტყემლის დასახელება მეგრულად, თანაც ამ სოფელში შემორჩენილია ტყემლის არყის გამოხდის ტრადიცია, ბალდადი (დად - ბებიას დედაა) ანუ ბებიას დედის ხელა (წლოვანი) ბალი, საზანო - ზანების, საჩხერე (სო - სად, ჩხე - ცხელი ,რე -არის) სადაც სიცხე არის, ტყარჩელ (ტყა - ბალახი, ტყე, რჩელ (მაგალითად: ნოხრჩელ. ნოხ - ხალიჩაა, რჩელ - დაფენილი, მოფენილი
- არის ხალიჩით მოფენილი. გინო რჩელ - გადა ფენილი)
- დაფენილი ანუ ბალახი (ტყე) დაფენილი, ხვამლე (ხვამილ რე) - დალოცვილი არის, ნამოხვანი (ნაოხვამუ -ნაეკ-ლესიარი), დიხაშხუ (დიხა-მინა, შხუ - მსხვილი) - ანუ მინა მსხვილი, (როცა მე ამ სოფლის მაცხოვრებლებს სიტყვა გადაუთარგმნე, ერთმა გაკვირვებულმა ნამოსძახა თავი-სიანებს - „ჰა, ბიჭო საიდანაა სახელი, გახსოვთ, რამხელა ბოლქვები რჩება როცა მინას ვხნავთ!“. ცაგერა მეგრული-დან შეიძლება ნიშნავდეს - საგერე (სამგლე), ლეჩხუმი - ლე (ლე-სალიე , ლე-სიჭინე) არის ადგილი, ჩხომ - თევზი ანუ სათევზაო ადგილი, ლასურიაში - ლასურია გვარია

(დღეს არის რამდენიმე ამ გვარის მატარებელი აფსუა), -ში მეგრულში და ლაზურში კუთვნილების ნიშანია. მაგალითად ჯა-ში, ჯა - ხეა ანუ ხის, ტულუში - ტულუსი (ტულუ - სახელია) და ა. შ.

უძველესი დროიდან ლეჩეუმი იყო მცირედასახლებული ვინაიდან ზვავსაშიშ და ხშირი მიწისძვრის ადგილს წარმოადგენდა. ძირითადად დიდგვაროვანი (ხშირად ცვლადი) მფლობელების სანადირო და სათევზაო ადგილად მიიჩნეოდა და მუდმივ საცხოვრებლად მაინცდამაინც არ ითვლებოდა. მაგრამ თავისუფლების მოსურნეებისთვის და სხვადასხვა მიზეზით გამოქცეულების თავშესაფრად იყო საუკეთესო. რაც მთავარია, სავსე იყო ნადირით და თევზით. რიონის სათავეებში ადიოდა ქვირითობისთვის უამრავი ორაგული. მოგვიანებით ცივილიზაციამ მდინარე „გადაღობა“ ჰესებით და ორაგულის „გზა“ მოისპო. მაგრამ დღემდე დასავლეთ საქართველოს ზვავ და სეისმურად საშიშ რეგიონად რჩებიან საჩხერე და ლეჩეუმი. ამ ადგილებიდან უამრავი ოჯახი იყო გადასახლებული აფხაზეთში, მესხეთში და ლაგოდეხში.

გავაგრძელებ გურიის ტოპონიმიის განხილვას. ხაჯალია - ხოჯ ოლუა (ხარის საგალი) და არა ხაჯ ალი - ალის ხაჯი. არის ორი განსხვავებული „ახალგაზრდა“ ტოპონიმი: ჯაპანა. სახელი დაარქვეს იაპონიის საპატივ-

ცემლოთ. თუ არ ვცდები 60 წლებში ამ ქვეყნის რომელიღაც ეკონომიური პროექტის გამო. იგივე გამეორდა 2000 წლებში და ტბებთან რკინიგზის და ცენტრალური გზის კვეთასთან ათეული წელი ერთსართულიან შენობის თავზე ფრიალებდა ამომავალი მზის ქვეყნის - JAPAN -ის დროშა. მეორე კი რუსული ბარბარიზმია: ურეკი - უPEKI (მდინარესთან). სახელის წარმოშობა მარტივად ახსნადია. ამგვარ ადგილებზე, მშვიდ მდინარეებთან, იყო განლაგებულებული კაზაკების პატრულირების მოძრავი რაზმების „კაზაცკი რაზიეზდების“ სადგომები. აქვე გაიხსენეთ, რომ ცხენოსნების რაზმს გურიიდან, რომელმაც გაითქვა სახელი ამერიკაში საცხენოსნო საჯირითო გასტროლებით რუსები და არა მარტო ისინი, ეძახდნენ და ეძახიან „მოჯირითე კაზაკებს“ და ამ სახელით ატარებდნენ თავიანთი სანახაობის წარდგენას. „კაზაკების რაზიეზდების“ ყაზარმები რევოლუციამდე იყო განლაგებური პატარა, მშვიდ მდინარეების პირას რაც იყო აუცილებელი ცხენების მოსავლელად. გურიის ურეკი განლაგებულია მდ. სეფის ნაპირზე მეორე მხარეს ს. კაპროვანააა . მეორე ურეკი არსებობს ქ. ბათუმში და იქაც პატარა მდინარის პირას.

დავბრუნდეთ დაახლოებით ჩ.წ. 280 წელში, როდესაც კაპადოკიაში იბადება მოციქულთა თანასწორნი წმინდა

ნინო კაპადოკიელი. დაახლოებით ამ დროს 275 დან 281 წლამდე, იბადება წმინდა გიორგი კაპადოკიელიც. არსებობს ჰიპოტეზა რომ ისინი იყვნენ ბიძაშვილები. ამ დროს უკვე ჩამოყალიბებულია ბიზანტია და ბერძენი ერი არის ამ გაერთიანებული ტერიტორიის ტიტულოვანი ერი. ამას ხელი შეუწყო ბერძნების მიგრაციამ ამ ტერიტორიებზე და მათი კოლონიების დაარსებამ, რომელიც დაიწყო დაახლოებით d. წ. ა. VI საუკუნიდან . მოგვიანებით ამ მოსახლეობის სეგმენტმა დაირქვა პონტოელი ბერძნების სახელი. ცნობისთვის: ბიზანტიის იმპერატორმა ფეოდოსი I-მა (379-395) გამოაცხადა ქრისტიანობა ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიად მთელ ბიზანტიის ტერიტორიაზე. ამ დროს 325 წლიდან არსებობს ბიჭვინთის ეპარქია. საქართველო წმინდა ნინოს მიერ მოინათლა - იოანე-ზოსიმის ცნობით „მესამე კვირას აღდგომის შემდეგ. 326 წელს“. ქრება კაბადოკიის ადგილობრივი ერის ტუვალების (თუბალების) დასახელება მაგრამ, დიდი ალბათობით, ეს ეთნოსი არსებობს და ჯერ არა აქვს დაკარგული თავისი იდენტობა და ენა. ბიზანტია ჩამოყალიბდა როგორც იმპერია ამისთვის ყველა ატრიბუტის ჩამოყალიბებით.

ყველა იმპერია ცდილობს გახდეს მონოეთნიკური და ვინც არ ემორჩილება ამ მოცემულობას ნელ-ნელა ნადგურდება ან ითქვიფება იმპერიის ტიტულოვან ერში და

ქრება. მაგალითები დღესაც თვალსაჩინოა თუნდაც თურქეთის ან რუსეთის მაგალითზე. პირველი ჩამოყალიბებულია როგორც მონოეთნიკური სახელმწიფო, მეორემ ეს ვერ მოახერხა და ერთ-ერთი ამის შედეგია საბჭოთა კავშირის დაშლა. რუსეთის შემადგენლობაში არიან ის ხალხები რომლებმაც დაკარგეს თავისი იდენტურობა ენასთან ერთად. მაგრამ რჩება მცირერიცხოვანი ერები რომელთაგანმა ეს შეინარჩუნა და არიან თავის ისტორიის და კულტურის აღმავლობის გზაზე. ამ ერების საზღვრებზე, შერყეულ იმპერიას, აქა-იქ უჩნდება ბზარები.

წყაროების მიხედვით იმ დრის ქართულ ეთნოსებში უმრავლესობას ფლობს თუბალ-მესხურ-ჯავახურ-ლაზურ-ჭანურ-ზანური-მეგრულ ენოვანები და ალბათ, ამ ფაქტორმა განაპირობა წმინდა ნინოს ქრისტიანობის ქადაგების მიმართულება. მისი გზა გადის ლაზურ-მეგრული ხალხების მიწებზე. როგორც ცნობილია - საქართველოში მდინარე მტკვარის ხეობით.

მტკვარი არის ლაზურ-მეგრული ტოპონიმი. ტკვა-რე ითარგმნება რომორც კიბე -არის. ტკვა - კიბეა და რე - არის. ერთ-ერთ კანიონში მდინარის დინებას აქვს მსგავსება კლდეზე მიდგმულ კიბესთან და ამიტომ დაარქვს ტკვარე. მერე ამ ადგილებში ეთნიკური ცვლილებების შედეგად (რაც შეიმჩნევა დღევანდელ საქართველოშიც) სიტყვა გა-

ნიცდის ტრანსფორმაციას, რის შედეგად ჩნდება დასახელება მ-ტკვა-რი. აგრეთვე, ამ რეგიონში შემორჩენილია ბევრი სხვა დასახელება, რომელიც ემორჩილება ამ მოცემულობას. თარგმნა და განმარტება შეიძლება მარტო ლაზურ ან მეგრულ ენებზე. გადავავლოთ თვალი ქ. კარსთან (თურქეთი), რომელსაც (მეგრულადაც და ქართულადაც) აქვს ქართული ფუძე კარი მაგალითები; Kose- ქოსე (ქოსა) მთის დასახელება, Gudeli, გიდელ, Bozkale - ბოზკალე, ბოზო - ბოზი ლაზურში ნიშნავს ლამაზს - ლამაზი, კალე კი ქალაქია თურქულად. ლამაზი ან ლამაზმანთა ქალაქი. Bozyigit - ბოზიიგიტ (ლაზ. თურქ.) ბოზო - ბოზი, ლამაზი, იგიტ თურქულიდან ბრწყინვალეა და აქედან არის წარმოქნილი გვარები იგიტიძე და იგიტოვი. ანუ ბრწყინვალე ლამაზმანი. Olur [მეგრულიდან – სავალი (გზა). Gorak-გორაკ (გორაკ მეგრულში იგივეა, რაც გორაკი ქართულში). არტვინ – დასახელება ინვევს ორტვინ – ის ასოციაციას. ორტვინ - მეგრულად ბოსტანია. ახლოსაა ვაზიშევ (Vazihev) - ვაზი ხევი (ვაზის ხევი), შემდეგი დასახელებაა **Bereket** ბერექეთ (უკომენტაროდ), საკარია - Sakarya და Hopa (ხოპა) - ხოპ არხის (წისქვილის) წყლის ჩამკეტი. აგრეთვე ცნობილი ეკლესიების სახელები თერქეთში: ოშკი -მეგრული ოშ-ასი და აქვე ნაცნობი კი - კლიტე (ასი კლიტე), სუმელა (ბერძნები ეძახიან მგონი პანაგეას და თვლიან ბერძნულით) ან და

მეგრულად უღერს როგორც სამება - სუმ არის სამი. აგრეთვე განსაკუთვრებით მინდა განვიხილო იშხანი და მოვიყვან მეგრულ დალოცვას „იშ ხან ქოირცხუას“. „იშ ხან“ - „მისი ხანი . რცხუ -ქართულად და რუსულად ზუსტად არ ითარ-გმნება, მაგრამ ნიშნავს მოგმატებოდეს. მერცხუალა არის - მაგალითად ფიცარზე მეორე ფიცრის მიერთება - გაგრძელება ნაკეთობის სიმაგრის (სიმკვრივის) შენარჩუნებით. მე არავითარ შემთხვევაში არა ვარ რაღაც „ფაქტების“ მორგების და აქაც გამომაქვს ზემოთ აღნიშნული თქვენს სამრსჯავროზე.

აჭარაში, საზღვართან არის სოფელი „ქობალეთი“. მე მიმაჩნია, რომ დასახელება იდენტურია ქობულეთის. უფრო კონქრეტულად - მეგრულში ქობალ (ხორბალი) არის პური (ინდურ ენაშიც იგივეა და ეკუთვნის ინდო-ევროპულს. ეს ერთ-ერთი პირველი გაშიფრული სიტყვაა ხეთურ ენაში. ეს ფაქტი აჩენს შეცდომას ზოგიერთი მეცნიერის მსჯელობაში, რომ ორივე ენაში - ხეთურში და ქართულში, უფრო სწორედ სამივეში -ინდურშიც - არის ამ ენების ნათესაობის ნიშანი). არა, ბატონებო, სიტყვა პური ქართულში არის ინდო-ევროპული ბარბარიზმი.

გავაგრძელოთ სია საქართველოში. ვალე -მეგრული-დან ვერ გავა (ქალაქი თურქეთ-საქართველოს საზღვარზე). აქვეა განლაგებული სოფლები. არალი - მეგრულში ჰარალ

(ჰალალი). ჰარალ დო ჰარამ - ჰალალი და ავი. უდე - სახლი. ყ(ელიფი)დე - მეგრ. სახლი. მობრუნებული „ყ“ (ელიფი) ქართული ალფავიტიდან (გაუქმებული) ლექსიკონებში **26**-ე ასო ( ი. ყიფშიძე. 36-ე ასო). სვირი. მეორე ამ დასახელების სოფელი არის იმერეთში, ზესტაფონთან.

თურქეთიდან შემოედინება მდინარე ფოცხო-ვი. ფოცხო სოფლის სახელი სამეგრელოში. ამ ტერიტორიებზე და მთლიანად დასავლეთ საქართველოში, ჯერჯერობით შემორჩენილია, კოლხურენოვანი ტოპონიმები, რომლებიც იძენენ სემანტიკურ დატვირთვას ანუ დასახელების ლოგიკურ აზრს შემორჩენილ ლაზურ და მეგრულ ენებზე: მაგალითად: ჯიხაიში, ტყვიში, ცხენიში, გვერიში, ოფურჩეთ, ოქაცე (ო – პოჩე) და ასე შემდეგ. აქ მინდა განვმარტო - გვერიში, (გვერ - გველი) გველისი და უაზრო გადარქმევა ოკოჩე გახადეს ოკაცე. კოჩ მეგრულში არის კაცი - ოკოჩე საკაცეა და ახალი დასახელება „ოკაცეს“ თარგმნა ქართულზე მიმინდია თქვენთვის.

ყურადღება მინდა მივაქციო ორ დასახელებას, რომელიც აკმაყოფილებს მეგრულენოვან დასახელების შექმნის ტრადიციებს.

ჭაითურა და ტყიბული. ჭყია ტურა. უძველეს დროს კი არა დღესაც საკმაოდ დასახლებულ ქალაქში აქა-იქ გაისმის ტურების ყივილი მით უმეტეს დასავლეთ საქართველოში

არსებობს ამ გვარი სახელები ოჭაკე (სა-ჯორე), საირმე ან და ზემოხსენებული ცაგერა (საგერე-სამგლე) და რატომაც არა ჭყია - ზუსტად ნიშნავს ტურის ყივილს მეგრულად და გამოვიდა მწივანა (მყვირალა) ტურა. თანაც მდინარეც ყვირილაა.

ვინც არ ყოფილა ტყიბულში ბალის ყვავილობისას ვეტყვი, რომ ეს საოცრებაა. ირგვლივ ტყეები მოფენილია ქათქათა თეთრი ლაქებით და ოდნავ შესამჩნევი გარეული (ტყის) ბალის ყვავილების არომატით. ახლა შევეკითხები მეღვინეებს. სად აკეთებენ საუკეთესო ქვევრის სარეცხს - სარცხის (მეგრულად ორჩხაშე, რჩხუა - რეცხვაა ანუ სარეცხი) გარეული ბალის ქერქისგან)? ვპასუხობ: დღესაც ძირითადად ბაზრობებზე წარმნოდგენილი ამ „ინსტრუ-მენტის“ უმრავლესობა იწარმოება ტყიბულის რაიონში. და ამ გარეული ბალის სიმრავლემ აჩუქა ქალაქს დასახელება ტყიბული-ტყა ბულ მეგრულადა გარეული (ტყა-ტყის) ბალი.

მინდა მოვიყვანო სამეგრელოში დღემდე ცნობილი ჩვენი წინაპრების, ბაბუების, ბებიების და მათი წინაპრების დასახელებები. ეს ცნობა მე მომანოდა უაღრესად პატივცემულმა, დამსახურებულმა შრომის გმირმა, სოფელ კორცხელის მაცხოვრებელმა, ქალბატონმა - ნანული კვარაცხელიამ:

მეგრულად		ქართულად
1. დიდა	— მუმა	1. დედა — მამა
2. ბები	— ბაბუ	2. ბებია — ბაბუა (პაპა)
3. პეპი (დადი)	— პაპუ	3. — „
4. აბადა	— ჩამიდი	4. — „
5. ბათირია	— ჩათირია	5. — „

სხვა ენებში მეხუთე კი არა, მესამე თაობის წინაპრების დასახელებაც არაა ცნობილი.

### მესხეთი (მე სე თი)

მოსკი - მოსკე მესკე, მესხი - მესკი - მესკე. მე სქე თი. მოაკები ბიბლიურ რუკებზეა აღნიშნული - მაკრონებთან, მოსინიკებთან, თუბალებთან ერთად. ამ სიიდან მესხეთის ცნობადობა აშკარაა და დასახელება „მოსკი“ ჰგავს დღე-ვანლ დასახელებას „მესხი“. გავიხსენოთ ამ რეგიონის „საექსპორტო“ პროდუქცია - თაფლი. საქართველოში დღემდე შემორჩია ორი განთქმული ფუტკრის გავრცელების კერა. გრძელ ხორთუმიანი მუხურის „ფსქა“ ან „სქა“, „სკა“ - მეგრულად სამივე - ფუტკარია და აჭარული (მესხეთის მოსაზღვრე რეგიონი) - ფუტკარი. მეგრულად ფუტკრის სახე-

ლია - სკა(ფსქა). მო-სკი, მე-სქი, მესკე, მე-სქეთ, მე-სხეთი, მე-სხი. ახლა განვიხილოთ სიტყვა „ბუკი“ და აქედან გამომდინარე ორი ცნობილი ქართული გვარი - მებუკე და ბუკია. ერთი გვარი არის გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოში მეორე კი დასავლეთში - სამეგრელოში. ორივე გვარი წარმოიშობა სიტყვა „ბუკიდან“. ოლონდ ქართულად (ლიტ.) „ბუკი“ არის ჩასაბერი მუსიკალური საკრავი ხოლო სამეგრელოში „ბუქი“ არის ფუტკრის „სახლი“, ქართულად კი „სკა“ ჰევია-ფუტკრის ხელოვნურ საბინადროს. ხედავთ სად „გაერთიანდა“ სიტყვა სკა. გვარები კი პირიქით დააშორა ერთმანეთს და მიიღო თავისი მნიშვნელობები „მე ბუკე“ ანუ ბუკზე დამკვრელი - მუსიკოსი და ბუკია - სკის (მეგრულად ბუკის) ხელოსანი, დარგის მცოდნე - მეფუტკრე. აგრეთვე გვარი მესხია გავრცელებულია სამეგრელოში. და ბოლო დანამატი „თი“ ზოგადად ქართულ ენაში, აზუსტებს ამ ადგილს თექ (იქ), თი ადგილს (იმ ადგილას). ჭანიეთი, ყაზახეთი, სპარსეთი, საბერძნეთი და ა. შ.

ჯავახეთი (ჯა ვახე თი). გადავინაცვლოთ ჯავახეთის-კენ. ეს დასახელება ბევრი ხანია რომ „ზოგიერთებისთვის“ გახდა „ჯავაქს“. ან და რომ დავაკვირდეთ სიტყვის წყობას, აღმოჩნდება მეგრული სიტყვებიდან შედგენილი და ლოგოკური დაშლის შედეგად მივიღებთ „ჯა ვახე თი“. დავიწყოთ ბოლოდან „თი“, „თი ადგილს, „თექ“ მეგრულიდან ითარ-

გმნება, როგორც „იმ ადგილას“, „იქ“. ესე იგი მანამდე უნდა იყოს განმარტება რა „იქ“ ან „იმ ადგილას“ და დავინახავთ ახსნას „ჯა ვახე“ . „ჯა“ არის „ხე“ და „ვახე“ - „არ ზის“, „არ ხარობს“ ანუ გამოდის „ხე არ ხარობს იქ“. თუ დააკვირდებით ჯავახეთი არ არის მაინცდამაინც განთქმული ტყეების სიმრავლით და უძველეს დროინდელი ჯავახე - მეგრულ ენოვანი ტოპონიმი ადასტურებს ამას. შუა ჯავახეთში მდებარეობს ციხე სიმაგრე „აწყური“. სიტყვის დაშლით მივიღებთ მეგრულ ენოვან სიტყვას „ა წყუ“ - რი, რაც ნიშნავს ქართულად „ა წყარო“ რი ლიტერატურულ ქართულში - დანამატია. ეს ციხესიმაგრე, ერთ-ერთია საქართველოში რომელიც, აშენებულია მძლავრ „წყაროს“ - „წყუს-ს ირგვლივ. გავაგრძელოთ გზა ბორჯომისკენ და შევალთ „ჩითახევში“. ხევი - საერთო ქართული სიტყვაა, მაგრამ ვინმე თუ განმარტავს სიტყვა „ჩითა“ - ს „ჩითა“ ქართულში არ იძებნება, მაგრამ თუ შევცვლი მარტო ერთ ასოს მივიღებთ მეგრულ მცნებას „წითელი“ და ეს ცვლილება ჯდება ასოების უღერადობის სიახლოვით. ვცვლით „ჩი-ს „ჭ“-ზე და ვიღებთ მეგრულ სიტყვა „ჭითა“ - ს წითელს და მთლიანად სიტყვა ხდება „წითელი ხევი“ ანუ რაც მეგრულში სინონიმია „ლამაზი (მშვენიერი) ხევის“. სკეპტიკოსები იტყვიან, რომ ეს დამთხვევაა ან და უფრო მნარე ეპითეტს მოიხმარენ - მაგრამ... რომ გავყვეთ გზას ბაკურიანიდან ცრანწყაროს მიმარ-

თულებით. სხვათაშორის „ცხრა წყარო“ მეგრულზე ნიშნავს „ჩხორო წყუ“-ს (ქალაქი სამეგრელოში) და გავაგრძელოთ გზა წალკისკენ გავივლით ულამააზეს ტბას, რომლის და-სახელება არ ითარგმნება ქართულ ლიტ. და ჰქვია „ტაბა წყუ“ - რი. რი-უკვე იცით, მაგრამ „ტაბა-წყუ“ რაღაცას გვა-გონებს... ალბათ „ჩხორო წყუ“-ს. გაავიხსენოთ მეგრული სიტყვა „ტომბა“, რომელიც ითარგმნება როგორც „ღრმა“, მაგრამ მეგრულში ის განიცდის ტრანსფორმაციას და ყვე-ლა მომდევნო სიტყვა იძენს ახალ მნიშვნელობას. „ტომბა“ (ტობა) - „ღრმა“. „ტობა“ - ს შეცვლილი სახე - „ტაბა“ ქარ-თულში ულერს როგორც „ტბა“ . „წყუ“ უკვე გვეცნობა და „ტაბა წყუ“-რი ანუ „ღრმა წყარო..“

ამ მასალებზე მუშაობისას აღმოვაჩინე ასეთი „თაიგ-ულები“- რეგიონების დასახელებების ლოგიკური ახსნა მეგრულ (შეიძლება თუბალურ) ენაზე. ეს იყო გამომდინა-რე იმ მოცემულობით რომ ადგილები შედიოდა საერთო კოლხური ცივილიზაციის არეალში და ინახავს უამრავ მეგ-რულ ენოვან ტოპონიმიას. ამ ფაქტმა მიბიძგა გადამეხედა სხვა რეგიონებისთვისაც... და ზემოთ მოყვანილ ლოგიკაში ჩაჯდა კიდევ ერთი რეგიონიც. და რა გასაკვირიც არ უნდა იყოს - ეს არის კახეთი.

## პახეთი (პა ხე თი)

ამ ტექსტის საწყის რომ მიუპრუნდეთ, დავინახავთ უძველესი ყურძნის ჯიშის კაჭიჭის დასახელების (ვიმეორებ) შემადგენელი სიტყვებს კა ჭიჭე ანუ „კა“ პატარა (წვრილი). კა მეგრულში და ლიტ. ქართულშიც ასოცირდება ვაზის მტევანთან - მარცვალთან. ყოველ შემთხვევაში, მეგრულში ეგრეა და მე განვიხილავ ამ სიტყვას მეგრულის ჭრილში. მით უმეტეს ერთ-ერთ ვაზის ჯიშს ჰქვია რკანითელი და ინგლისურად Katsiteli. ეხლა დავაკვირდეთ რეგიონის დასახელებას კახეთი. დავშალოთ და მივიღებთ კა ხე თი. კა განვიხილეთ, ხე მეგრულში - ზის (გაიხსენეთ ვახე - არ ზის), „თი,-“ ც ცნობილია. გამოვიდა კა ზის (ხარობს) იქ - კა ხე თი. რამდენადაც არ უნდა გაგიკვირდეთ, თითქმის ყველა დასახელებები - „კოლხიდა“, „მაკრონი“, „მოსინიკა“, „გრუზია“, „გურჯისთან“, „GEORGIA“ და სხვა დასახელებები დაგვარქვეს (თანაც ზოგმა არაკეთილგანწყობილმა ჩვენს მიმართ) უცხოელებმა და რატომ არ შეიძლებოდა ქართული რეგიონების დასახელებები (უფრო სწორად თვითდასახელებები) ყოფილიყო თუბალურ-მესხურ-ჯავახურ-ლაზურ-ჭანურ-მეგრულ-ზანურ (ქართულ ) ენოვნები. თანაც მარტო ლაზები და მეგრელები შერჩა დღევანდელ სამყაროს და ისეც... საზღვრით გაყოფილი...

## მოციქულთა თანასწორი ცმინდა ნინო

ნინა აბზაცებში განხილულია მეგრულ-ლაზურ (ქართული) ენოვანი ტოპონიმები, რომლებიც დღემდე შემორჩენილია თურქეთში. წმინდა ნინა მობრძანდება საქართველოსკენ გზით დასახლებულით ქართული ეთნოსებით და ქადაგებს ქრისტეს სიტყვას ანუ ამ ხალხისთვის გასაგებ ენაზე. „ქრისტეს სიტყვა“ ითარგმნება როგორც „ქრისთეშ ნინა“. მეგრულში ითქმის „ნინა მოულ“ - „ენა მოაქვს“, „ნინა გილუულ“ – „ენა გადააქვს“. მოდის ის, რომელსაც ლმერთის სიტყვა, (ენა) მოაქვს. მეგრულში იყენებენ „ლორონთიშ ნინა მოელ“ ანუ „ლმერთის ენა მოაქვს“. ქრისტიანობაში გავრცელებულია წმინდანებისთვის სახელების დარქმევა - ანდრია პირველწოდებული, გიორგი ბრწყინვაალე (რუსები ხმარობენ გამარჯვების მატარებელი - ინდეიონი, წმინდა ნინა (წმინდანი ნინა)). ზოგადად მეგრულში, ტრადიციულად არსებობს სახელების დარქმევა და გადარქმევა ადამიანის, პირადი თვისებების მიხედვით. მაგალითისთვის მოვიყვან მეგრულ სახელებს და მათ ქართულ თარგმანს.

შეიძლება, ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე, დამკვიდრდა სახელი ნინა -ნინო, მით უმეტეს, რომ პირველად ჩნდება წმინდა ნინო მოციქულთასწორთან დაკავშირებით. მაგრამ არსებობს ვერსია, რომ სახელი ნინო არის შუმერული წარმოშობის და ნიშნავს - ქალბატონს.

**მარგალ** - მეგრელების თვითსახელი ანუ ესე ეძახიან თავის ეთნოს. ითარგმნება ქართულზე – მრგველი და დაკავშირებულია ღუმუს (მცენარე გომის) მოსავლის მოყვანის პროცესთან, ჩითილების დარგვასთან. ზემოთ ნახსენებია მესხები (მესქები).

**გიორგი - დარგე (დანერგე)** (და არა გეორგი). ძველ დროში ღუმ არ ითესებოდა, იმიტომ რომ იწვევდა თესლის დიდ ხარჯს, მისი მარცვლების სიწვრილის გამო. ჯერ გამოყავდათ ჩითილები და მერე რგავდნენ ერთმანეთის მოშორებით, რაც აიოლებდა მათ მოვლას და მოგროვებასაც. მერე მოჭრილ ეგრეთ წოდებულ „ცოცხებს“ აშრობდნენ. გაშრობის შემდეგ ბზისგან დამზადებულ სავარცხლებით ვარცხნიდნენ. მარცვლებს, რამდენიმე მამაკაცი ხის დიდ საკეკში კომბლეების რტყმით აცლიდნენ შერჩენილ ქერქს. და რადგანაც უკვე აიგსო ნალია ღუმუთ (ლომით), გაგაცნობთ კერძის დამზადებას. ლომი მზადდება ორ ეტაპად. პირველი - იხარშებოდა გასუფთავებული და გამორცხილი ლომის მარცვლები (ლომი - ფეტვი - ჩუმიზა. რუსულად გომი - პროსო - ჭუმიზა). მოხარშულ ფაფაში იყრება ლომის ფქვილი. ჩოგნით (ხვარჩინით, კირზათი) იზილება ერთგვაროვან კონსისტენციამდე. კირზა - მრგვალი, მაჯის სისქის ხელა, ქერქისგან გასუფთავებული თხილის ჯოხი, იხმარება ლომის მოზელვისთვის, დიდ ქვაბებში ქორწილებ-

ში და დიდ ქეითებში. ამ შესქელებულ მასაში არ უნდა დარჩეს არ დაშლილი ფქვილის ბურთულები - (მარკვა). ქვაბი იხურება და დაბალ ცეცხლზე ხდება „ჩუნაფა“ . „ჩუნაფა“ არის ორთქლში დამუშავება - იხარშება შერეული ფქვილი. ბოლოს თუ მზა ღომში მოურევთ სულუგუნისთვის მომზადებულ ჭყინტ (ჭყლინტი) ყველს ან და დაქუცმაცებულ სელეგინს ანუ სულუგუნს, გამოგივათ ელარჯ (ელარჯი). მაგრამ დავუპრუნდეთ მეგრული სახელების თემას. როგორც ვთქვით მეგრელები თავის თავს ეძახიან - მარგალ (მეგრელი), მარგალეფ (მეგრელები). ეს დასახელება გვხვდება ესპანეთში. და ამას ატარებს სოფელი ბარსელონას სიახლოვეს. გასაკვირი დამთხვევავაა, არა? იმიტომ, რომ ესპანეთში ამგვარი ტოპონიმების არსებობით დადასტურებულია ბასკების ბასკონიამდე (გასკონიამდე) მისასვლელი სანგრძლივი გზის ნაკვალევი.

ზემოთ ხსენებული ადასტურებს იმ ისტორიულ ფაქტს რომ კოლხეთი ცნობილია, როგორც ერთ-ერთი ადგილი, სადაც განვითარდა მიწათმოქმედება და თვით საქართველოს უცხოური დასახელებაა G E O R G I A, სადაც GEO არის მიწა და RGIA-ც საოცრად მეგრულად ჟღერს.

რგუალა არის დარგვა და RGIA - რგია - მიდრეკილიაა რგვისკენ (დარგვის). ყველა ხუმრობაში არის ხუმრობის წილი.

## გავაგრძელოთ სახელების განხილვა.

გურამ - გულიერი ან გულადი (მამაცი), უჩა - შავი, ტუტი (ტუტუ) - მთავარი ღმერთი ძველ კოლხეთში და აგრეთვე ძველ ეგვიპტეში. აქედან გამომდინარეობს კალენდარიდან წარმოშობილი სიტყვა კალანდა . ამიტომაცაა რომ კალანდის (მთვარის ციკლის მიხედვით გამოთვლით ანუ მთვარის კალენდრით - ახალი წელი) კვერის ფორმა ახალი მთვარის მსგავსია. თუთა – მთვარე და თუთაშხა (ორშაბათი)-მთვარის დღე. ახალი კვირის პირველი და უმთავრესი დღის სახელი მიძღვნილია -უმაღლეს ღმერთს - ტუტს (თუთს) ანუ თუთას. კვატატ - კვატა (იხვი) ანუ „მოიხვო“, ქიონია – მთქნარიანა (ხშირად ამთქნარებს) ქალის სახელი, სქვა-მა - ლამაზი (მამაკაცის სახელი) ერქვა ბაბუაჩემის ბაბუას ანუ ჩამადის. თუთანა - მთვარისა (ქალის სახელი) და ასე შემდეგ.

აქედან გამომდინარე, შეიძლება, წარმოიშვა სახელი ნინა - ნინო, მით უმეტეს, რომ ეს სახელი პირველად ჩნდება წმინდა მოციქულთა თანასწორის ნინოსთან დაკავშირებით.

როგორც ზემოთ ვახსენე, ჩემი მიზანი არის დასახელებების და ტოპონიმების განხილვა და მათი აზრიანი და ლოგიკერი მნიშვნელობების დაბრუნება რომელიმე ამ ლოკა-

ციებზე. მე ვთქვი, რომ არ შევეხები არქანჯელო ლამბერტის რუკას, მაგრამ დღევანდელ აფხაზეთში ხდება დასახელებების შეცვლა. ეს მაგრა შეეხმ ტყვარჩელის ზონას და მე მინდა განვმარტო ამ რეგიონის დასახელებების წარმოშობა. ტკვარჩელ, ტყვარჩელი. პირველი - ქალაქი აფხაზეთში, მეორე - სოფელი იმერეთში ანუ ძველ ზანეთში, სადაც შემორჩენილია ზანურ-მეგრულ ენოვანი დასახელებებს შეიძლება დაუმატოთ კუმურიში (კ-ს მაგივრად ასო ელიფი, მობრუნებული „ყ“), მეგრულიდან ტყემლოვანაა. ყ(ელიფი) უმერ ვიმეორებ - ტყემალია. კინტრიში, კანტყარ მეგრულიდან არის კიტრი. ვხმარობ რუსულ ასო „ყ“-ს

ტკვარჩელი (ტყვარჩელი) და ტყარჩელი განსხვავდება სიტყვებით ტკვა ანუ ვარაუდით ეს არის ჩვენთვის ნაცნობი ტკვა -კიბე და მეორე ტყა და რჩელ - უკვე იყო გარჩეული. ესე იგი პირველი ნიშნავს „დაფენილ კიბეს“. მაგრამ სავარაუდოა, რომ ოდნავ შეცვლილია და არის მეორე სიტყვის იდენტური და ლოგიკით - „ბალახით“ ან „ტყით“ - დაფენილს (დაფარულს) ნიშნავს. გავაგრძელოთ მიდამოების გადახედვა. ტყვარჩელის თავზე არის დომინანტი მთა, რომლს სახელია ხოჯალ ანუ ამ სიტყვის განმარტება შეიძლება მარტო მეგრულად. და რაც იპყრობს ყურადღებას არის ის, რომ ეს ტოპონომი არის გავრცელებული გურიაშიც. ხაჯალია სოფელი და რაც არის გასაკვირი ამ ტიპის ტოპონიმი

წარმოდგენილია აზერბაიჯანში - ხოჯალი და აქ შეიძლება იყოს ალბანური წარმოშობის. დღეს, ჩემი ვარაუდით, მეგრულთან მსგავსება აქვს შემორჩენილი მცირერიცხოვან ალბანური მემკვიდრე ეთნოსის წეს-ჩვევებით და საოცარი მსგავსი ენის უღერადობით. რაც მთავარია, ზოგი სიტყვების მნიშვნელობის დამთხვევითაც და ეს ეთნოსი არის უდიები. ყველა ამ დასახელებას აერთიანებს ორი სიტყვა „ხოჯ“ და „ოლ“. ხოჯ არის ხარი ანუ დაკოდილი კურო და ოლ არის სავალი ანუ გზა. ცნობილია, რომ კავკასიის ყველა მაღალ-მთიან და სახიფათო გზებზე ოდითგან იყენებდნენ ხარებს. ჰიმალაიში, ტიბეტში -გავრცელებულია იაკები. ალპებში ხარები და მოგვიანებით ჯორები, დაბალმთიან კავკასიაში ვირები და ჯორები.

ყველა ამ ცხოველს ახასიათებს დინჯი, დამყოლი ქცევა, გადაადგილება და მძიმე ტვირთების გადაზიდვა. ყველა ეს მახასიათებელი არის გამოსადევი, მთიან რეგიონებში, ამ ცხოველების გამოყენებისთვის. აქვე მინდა მოვიხსენიო ტოპონიმი ხარაგაული, რომელიც ახსნადია მეგრულად. ხარგელ ნიშნავს დატვირთულს და ულა - სვლას. შეიძლება ვივარაუდოთ რომ ხარაგაული (ხარგელულა) იყო ამგვარი ტვირთების გამტარი ადგილი - სავალ გზაზე. ტვირთგამტარი, ტვირთსავალი, ტვირთის გზა - შესაძლებელია აქ ყოფილიყო საბაჟო.

ცხენების გამოყენება დაიწყეს მომთაბარე სტეპების ხალხებმა. ვარაუდით ესენი იყვნენ ჰუნები, სკვითები, არაბები და აგრეთვე მონღოლები.

ტყვარჩელის მთებიდან იწყებს თავის დინებას მდინარე ღალიძგა - ღელეს ზვარი (ღალ - ღელეა და ძვა - გვერდი, ზღუდე) ზუსტი თარგმანი არ არსებობს (რუსულად კრაი - ზღვარი) იმიტომ, რომ აქ იგულისხმება ზღუდეც - გადაუკვეთელი ხაზი. ღალძგაში ჩაედინება მდინარე ულუს, ტრანსფორმირებულია სიტყვა ულუ-სგან (გაუსვლელი), რომლის დასახელება შეიცვალა ალბა, აქ ქვანახშირის მაღაროების და ქალაქის ასაშენებლად რუსული მუშების ჩამოყვანით - მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში. ჩასახლებული რუსებისთვის სიტყვა ულუ იცვლება უფრო ნაცნობი მონღოლური ულუს-ით. ამ მდინარეში მე დავიჭირე პირველი კალმახი. წყალი დუღს მის მიერ გამოლესილ და გამოლოტკილ ვიზრო კანიონში. ზევით სათავესკენ მდინარე გადადის ნახტომებზე, დევების სლიპინა კიბეების მაგვარ სივრცეში სულა ხდება შეუძლებელი. თავად ქალაქიც განლაგებულია უზარმაზარ როთხ თუ ხუთ საფეხურიან „კიბეზე“. ამ საფეხურებზე განლაგებულია - კვეზან-ი („ი“ ქართული დანამატია) მეგრული - ქვეზენ (ქუა ზენი) ქვიანი (ვაკე) მინდორი. შემდეგ საფეხურზე - აკარმარა, რომლის მზიანი მიდამოები,

წაბლებით, როდენდრონით, გარეული რწყავით, მარად მწვანე საბნით გადაფარულ ადგილზე, მთის სხეულიდან მოთუხტუხებს როდონის მინერალური წყაროები და ამ მიდამოში ჩადგმული პატარა, ვანების მისაღები, პავილიონები.

როდონი არის მცირე რადიაციის მქონე ელემენტი და ამ ბალნეოლოგიურ წყაროში სამკურნალო ვანების მიღება შეიძლება მხოლოდ ათი დღე, მაქსიმუმ. რადიაციის გამო ოპტიმალური მკურნალობის ვადაა ერთი კვირაა. ალბათ, ეს იყო ცნობილი ჩვენი წინაპრებისთვისაც და დაარქვეს ამ ადგილს აკა მარა ანუ მეგრულად „აკა მარა“ - „მარტო კვირა“, რომელიც მერე გახდა აკარმარა. მერე ტყვარჩელის ცენტრი და ძირითადი ქალაქის ოდნავ მაღლა, უზარმაზარ ქვის მონოლითზე, დაახლოებით ნახევარი კილომეტრის დიამეტრის სიდიდის ლოდზე - დასახლება „ჯანტუხა“.

ჯანტუხა საინტერესო, ჯერ გამოუცნობი ტოპონიმია, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ წარმოადგენს იგივე მეგრულ წარმოშობის სიტყვას. სიტყვის დაშლის შედეგად მივიღებთ ორ მონაცემს ჯანტუხა და მეორე ჯან-ტუხა. პირველი: „ჯან“ ხშირად გამოყენებადი სიტყვაა და ნიშნავს „ხეს“. მაგრამ „ნტუხა“ გაიჭედა. მეორე: „ჯან“ - „ტუხა“ (ჯან-თუხა). „ჯან“ - „ნევს“ და „თუხუა“ არის „ანენვა“. მატყლის, მისგან ძაფის, გრეხვისთვის წინა დამუშავება. ლოგიკურ შედეგამ-

დე ვერ მივედით? ეს არის დიდი მწოლიარე ლოდი და ხეები იზრდება მარტო იმ საზღვრებში, სადაც მთავრდება მონო-ლითი და ამის გამო იყო მზიანი. მამაჩემის მონაყოლიდან მახსოვს, რომ საცხოვრებელი სახლის ასაშენებელი ფართი იქნა მომზადებული ორ-სამ დღეში, ვინაიდან ადგილი და-ფარული იყო ეკალით, ბუჩქებით და მცოცავი მცენარეებ-ით. შეიძლება იმ დროს ეს მიდამო გავდა მწოლიარე აწენილ (თუხილ) ეკალბარდს . ცნობისთვის ამ ხსენებული სახლის აშენების დროს 1937 წ. გადაასახლეს მამაჩემი და წამებით მოკელეს მისი მთავარი ინჟინერი - სპერანსკი. ეს აღნერი-ლია ჩემს წიგნში.

ტყვარჩელთან ახლოს არის მდინარე მოქვი, რომელ-შიც ჩაედინება რამდენიმე მცირე ღელე და მდინარეები დვაბ და ოტაბ. მდინარე მოქვის ქალაპოტი , მთელი დი-ნების მანძილზე არის ქვიანი და ამას ადასტურებს მისი სახელიც მოქვა ანუ „მო ქუა“ რომ თარგმანი ქუა - ქვაა და მო ნიშნავს იგივეს რაც ქართულ ლიტ. (მაგალითი: მო - პირკეთებული) „მო ქვავული“. ამგვარი დასახელება გხვდება მოქვის სიახლოეს, სოფელ კვიტოული აფსუურად „კუტოლ“. ოლ, ოლუ ჩვენთვის უკვე ცნობილია და მგონი „ქუა“ - ც. გამოვიდა ქუათ ოლ რაც ნიშნავს „ქვით სავალს“ (ქვიან გზას) გზა მიდის მდინარე დღუმუშის გვერდით „დრუმუში“ მეგრულიდან უაღრესად ტალახიანს. წვიმიან

ამინდში ეს მდინარე დიდდება და ახლო ეწერებიდან (ენ-წერ -ტყით დაფარული გორაკები) ჩამორეცხილი შლამი მიაქვთ ზღვაში. დღუმუშ არის შლამი. ახლოს არის დასახლება ტამიში, ტამიში - რუსული დესანტის გადმოსხმით და მისი განადგურებით არის ცნობილია აფხაზეთის ომის დსროს.

მდინარე დვაბ. დვაბ შეიძლება იყოს წარმოშობილი სიტყვა ჟვაბ და მე გამიგია დვაბუთ გამოთქმული გომბეშოს დასახელება. მაგალითისთვის - მორმოლია, ბორბოლია (ობობა); ბუტუტია, ჭყიჭყიტია (ჭიანჭველა); და დვაბ - გორდ და ჟვაბ -გორდ (გომბეშა - ბაყაყი) და უბრალოდ დვაბ, ჟვაბ (გომბეშა). არ ვამტკიცებ - უბრალოდ ვმსჯელობ, მაგრამ გაზაფხულზე მთებში კალმახზე თევზაობისას, ჩამდგარ გუბეებში, ვამჩნევდი ორი განსხვავებული ბაყაყის ქვირითს. ერთი იყო მსხვილ ხიზილალის მძივივით გადახაზული წყლის სივრცე, მეორე კი მყუდრო, ყურძნის მტევნებივით, ჩალაგებული ხასხასა ხავსის ბუდეებში. ცხადია, რომ ერთი ჯიშის ნასაქმარი რომ არ იყო ეს ქვირითობა, მაგრამ ორი ჯიშის ბაყაყი მე იქ, ათეული წლების განმავლობაში, არ მინახავს. შეიძლება აქ იყო შემჩნეული გომბეშო და ამან გააჩინა ეს დასახელება - დვაბ.

მეორე მდინარეა ოტაპ, რომელიც გამოდის გამოქვა-ბულიდან დასახელებით „აბრსკილ“ - აფსუური ანალოგი მითიური ამირანის (პრომეთეოს), რომელიც, ლეგენდის მიხედვით, ამ გამოქვაბულის სილრმეშია მიჯაჭვული. ბავ-შვობაში ვარ მეგობრებთან ურთად, შემძვრალი ბოლომდე-აბრსკილ-ამირანი ვერ ვიპოვეთ. არ მისული ბოლომდე ჩი-რალდნების მოციმციმე შუქმა ამოგლიჯა კედლის პატარა თაროზე ადამიანის თავის ქალა. შიშისგან თუ სიცივისგან მოძაგავ ჯგუფით მივუახლოვდით და კარგ შუქში გა-მოჩნდა საკმაოდ დამაჯერებელი თიხის ნაკეთობა. მეორ-ედ ჩემი შესვლა გამოქვაბულში მოხვდა ხუთი - ექვსი წლის შემდეგ - 1964 წელს. ჩვენს კლასთან დამეგობრებულ ლე-ნინგრადელ მოსწავლეებთან ერთად აღვნიშნეთ სკოლის დამთავრება.

ოტაპმაც შეინარჩუნა თავისი მეგრული სახელი. ოტ-აპ - ოტოფ. ტოფუ არის თევზის სახეობის მეგრული და-სახელება და ამ სიტყვითაც არის აღნიშნული ტოფუს ქვირითობის „რიტუალი“. ტოფუ - თევზი: ტოფუა - ქვი-რითის ყრა; ოტაპ(ფ) - „ო-ტოფ“ - „ო“ ქართულის ანალ-ოგი „სა“ ანუ „სა - ქვირითე“. ტოფუს ქვირითის (ქვირითი - მეგრულში „ქვირი“ - „ფქვილია. ვიზუალურად ქვირითო-ბა ჰგავს თეთრი ფქვილის გაზავებას მდინარეში) საყრე-ლი ადგილი ხასიათდება მდინარის დინების სტაბილურო-

ბით - არ უნდა დიდდებოდეს წვიმის ან სხვა ზეგავლენის დროს, უნდა იყოს ნელი და დაახლოებით სამი-ოთხი თითის სიღრმის, წვრილლორლიანი, ფსკერით. მე ვიცი მხოლოდ ორი ასეთი ადგილი მდ. ოტაპ (გამოდის გამოქვაბულიდან) და მდ. კამანი (მდ. გუმისთის შეერთებამდე) - გამოდის კლდიდან. ბოლო მდინარეს „დავესწარით“ ქვირითობისას და სასროლი ბადის სამი დაფარვის შედეგი გახდა ექვსი „ვედრო“ კაი მოზრდილი ტოფუ. ლამე იყო მთვარიანი, სიო გვეფერებოდა და გვახვევდა თევზის მსუბუქ არომატში. მდინარე, თევზის გამო, შრიალებდა, ვერცხლივით ბრნყინავდა, რამდენიმე ასეული მეტრის მანძილზე, კამანის წმ. სვიმონ კანანელის სახელობის ეკლესიის მიმართულებით, რომლის კონტურები ოდნავ ჩანდა მოშორებით, მთის ძირში.

აფხაზეთის ომის დროს სეპარატისტების დაქირავებულებმა დახვრიტეს აფხაზი პატრიოტი იური (გიორგი) ანუა და მონასტრის წინამძღვარი, მღვდელმონაზონი ანდრია (ყურაშვილი).

## ვარჩხილ

მსოფლიოში არც ერთ ენაში ვერცხლის დასახელება არ არის დაკავშირებული მისი მოპოვების მეთოდთან - გარდა მეგრულისა. ამ ლითონს მეგრელები ეძახიან ვარჩხილ-ს, რაც ქართულ ენაზე ნიშნავს ლითონ ვერცხლის. ამ დასახელების განხილვისას თქვენ დარწმუნდებით ამ დასკვნის სიზუსტეში და არა პირიქით.

ვერცხლის რენვის ერთ-ერთი მეთოდი ემთხვევა ოქროს მოპოვებისას. და ეს არის მაღნის ანუ ქვიშის ან მინის შლამის გამორეცხვა. გამორეცხვის შედეგად მძიმე ლითონების ნამცეცები, ნაწილაკები, რჩება გამოსარეცხ ჭურჭლის ფსკერზე და არ ჩაირეცხება უსარგებლო შლამთან ერთად. გადავთარგმნოთ რამდენიმე სიტყვა გამოყენებული ამ პროცესის აღნერაში თავიანთი თარგმანით მეგრულ ენაზე. „გამორეცხვის“ (რჩეუალა), „არ ჩაირეცხა“ (ვეგნირჩეუაფ) და არ ჩარეცხილი არის ვარჩხილ. მეგრულ ენაში რეცხვა აღინიშნება ორი განსხვავებული სიტყვებით ნახუა ნიშნავს თეთრეულის, ტანსაცმელის და სხვა ქსოვილოვანი ნაწარმის რეცხვას და მეორე, ჩვენთვის საინტერესო სიტყვა, რჩეუალა არის დანარჩენი ნივთების რეცხვას. მაგალითად: მანქანის, ჭურჭლის და აგრეთვე ძვირფას ლითონიან მაღნის (კოლხეთის შემთვევაში სი-

ლის, ღორლის და შლამის) რეცხვას. უსარგებლო ნაწილაკების გამორეცხვას და ამ ტერმინსაც აქვს ორი დასახელება ზედაფენის გადარეცხვა არის გინორჩხუალა და ქვედას - გითორჩხუალა - არის ღომისთვის სიმინდის ღერღილის გამორეცხვა. და რაც არ გაყვა ჭუჭყს და დარჩა ჭურჭელში - არ ჩაირეცხა, არ ჩარეცხილი (ვარჩხილ) არის მძიმე, ძვირფასი ლითონების ნარევი. და ვინაიდან, რაღაც დროის განმავლობაში არ კეთთდებოდა ამ ნარევის სეპარაცია (გაყოფა) მისგან იჭრება მსოფლიოში უძველესი ქირის, ფასის ეკვივალენტი, სხვა და სხვა ნომინალების მქონე (ფული) მონეტები. ბერძნულ ქრონიკებში ეს მონეტები მოხსენიებულია დრაპმებით, ქართული დასახელებაა „კოლხური თეთრა“ (КОЛХИДКА). აქედან ქართული ფულის - ლარის წვრილ მონეტებს დაერქვა თეთრი. კოლხური მონეტები იყო თეთრი ფერის ვინაიდან მათში ვერცხლის მოცულობა აჭარბებდა ოქროს. რუსულ მონეტებში ზოლოტნიკის (შეფარდება ვერცხლის და ოქროს) რაოდენობა აღრიცხულია და აგრეთვე სინჯების სისტემით ძვირფას ლითონისგან დამზადებულ ნივთებზე და მონეტებზე - ამოტვიფრულია ციფრებით. აგრეთვე ძვირფასი ლითონების ზოდებზე დაშტამპულია სისუფთავის აღმნიშნველი სინჯები. მაგრამ ეს მოხდა იმის შემდეგ, რაც გამოიგონეს ლითონების ერთმანეთისგან განცალკე-

ვება და მათი „სისუფთავის“ ამაღლება, რაც დღეს უკვე აღწევს პროცენტებში (%) 0-ის მძიმეს შემდეგ რამოდენიმე ცხრიანს. ვინაიდან კოლხეთში მისი მოპოვება ხდებოდა რეცხვით (ეს ისტორიულად დადასტურებულია) და ცხვრის ტყავის გამოყენებით. დღესაც დანადგარებში ოქრო ილექტა მოკლე ბენვიანი ნაბადის ხალიჩებზე. დასახელება დარჩა მეგრული – ვარჩხილ (არ ჩარეცხილი, ჩარჩენილი) და ამ სიტყვით აღნიშნავენ ვერცხლს, ლითონის ფულს (ხურდას) და აგრეთვე მთებშუა არ ჩამორეცხილ - ჩარჩენილი წლის აუზს (ტბას).

## ტოპა ვარჩხილ

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ სიტყვა ტობა და მისი გაჩენის ევოლუცია. ტობა, ტობა - ღრმა და აგრეთვე ტაბა - ტბად გადასული ქართულში.

ვარჩხილ უკვე განხილელია და გამოდის რომ ტობა ვარჩხილ ნიშნავს არ ჩარეცხილ (ჩარჩენილს) ღრმა წყალს, ტბას და არა ვერცხლის ტბას. არ გაიგით რუმ მე წინააღმდეგი ვარ ტბის ამ დასახელების, მაგრამ დასახელების

**პირველადი (მეგრული) მნიშვნელობა არის - არ ჩარეცხილი  
წყრო, ტბა, სიღრმე...**

დავუბრუნდეთ ძვირფას ლითონებს, და ვივარაუდოთ, რომ ვერხლის და ოქროს გარჩევა შესძლეს მოკლე ხანებში, ვინაიდან გამორეცხვით მოპოვებული ლითონების ფერი დიდად განსხვავდებოდა. ვერცხლის (ჯერ მადანს) აქვს მკვეთრად შავი ფერი, ლითონზე შენაერთის ფენა გოგირდნყალბადის შემადგენლობიან წყლების ზემოქმედების შედეგად. ვერცხლის ამ თვისებას, შემდგომში, გამოიყენეს ჯოზეფი ნისეფორე ნიეფსი - ფოტოგრაფიაში. ოქროს ფერი კი აშკარად განსხვავებულია და არ იცვლება (ჟანგდება). აქედან გამომდინარე, ოქრო იყავებს დიდ ადგილს სამკაულებების წარმოებაში და რაც მთავარია, წარმოადგენს გადახდის მანანდე ნახსენებ ფუნქციას ანუ ქირის (ფასის) გადახდის, ფულის სიმყარის და მისი ნომინალის (მყიდველ უნარიანობის) - მტკიცე გარანტიის სახელმწიფოებისგან ანუ ქვეყნების ეკონომიკის მდგრადობას. მე შემთხვევით არ გამომიყენებია სიტყვა ქირა, თანხა, ფული – სინონიმებია ქართულ ენაში და ამ სიტყვებში ქირა მეგრულში იმავეს ნიშნავს რაც ქართულში. ამ სიტყვას ვხმარობთ როგორც სა - ქირაო, რაც ითარგმნება მეგრულზე „ო ქირე“. ამ სიტყვას არც სჭირდება ბევრი გადაკეთება და მსჯელობა იმაზე - ჰგავს სიტყვა „ო ქრო“ და „ო ქირე“ ერთმანეთს. ზე-

მოთ ხსენებული დასახელებებიდან პირველი გაჩენილია და დაკავშირებულია უძველეს კოლხეთში ძვირფასი ლითონების მოპოვებასთან სიტყვა ვარჩხილს და აქედან გამომდინარე ვერცხლის დასახელება ლოგიკურია და არ არის სადაო. მეორე კი კოლხიდის სამეფოს ეკონომიკასთას და მის ცნობადობასთან როგორც მდიდარ და იმ დროინდელ სამყაროში განთქმულ, მაღალგანვითარებულ, ჯადოსნურ სამეფოდ!

ამ ლითონის ბრწყინვალებამ მიაღწია საბერძნეთს და იმ დროის უდიდესმა ცივილიზაციამ ვერ გაუძლო ცდუნებას და შემოიჭრა ამ სამყაროში და ამით, მთელ მსოფლიოში, გაუთქვა სახელი, ძველი დროიდან დღემდე, კოლხეთის ჯადოსნურ სამეფოს.

ო ქირე - ო ქროს დასახელების ბედი კი მიმინდია თქვენთვის!

ISBN 978-9941-9930-3-9

A standard linear barcode representing the ISBN number 978-9941-9930-3-9.

9789941993039